

**გეგმვა
და ტექნიკა**

№ 1 იანვარი 1960



მთვარის უკანა მხარეზე იმ ობიექტების განაწილება, რომლებიც გამოვლენილია ავტომატური საბლანეტათშორისო სადგურიდან მიღებული ფოტოსურათების წინასწარი დამუშავებისას: 1. 300 კმ დიამეტრის დიდი კრატერი-ზღვა — მოსკოვის ზღვა; 2. ასტრონავტების ურე მოსკოვის ზღვაში; 3. სამხრეთი ზღვის გაგრძელება მთვარის უკანა მხარეზე; 4. კრატერი ციოლკოვსკი ცენტრალური გორაკით; 5. კრატერი ლომონოსოვი ცენტრალური გორაკით; 6. კრატერი ჟოლიო-იური; 7. საბჭოთა მთაგრეხილი; 8. ოცნების ზღვა. სქემის გადამკვეთი უწყვეტი ხაზი — მთვარის ეკვატორი; პუნქტიური ხაზი — დედამიწიდან მთვარის ხილული და უხი-

ლავი ნაწილების საზღვარი. უწყვეტი ხაზით შემოვლებულია ობიექტები, რომლებიც სარწმუნოდ დადგენილია წინასწარი დამუშავების დროს; პუნქტიური ხაზით შემოვლებულია ობიექტები, რომლებიც ფორმის დაზუსტებას მოითხოვს; წერტილებით შემოვლებულია ობიექტები, რომელთა კლასიფიკაცია ჯერ კიდევ დადგენილია; დანარჩენ ნაწილში წარმოებულ მიღებული ფოტომასალების შემდგომი დამუშავება. რომელიც ციფრებით აღნიშნულია მთვარის ხილული ნაწილის ობიექტები: I—პუმპოლდის ზღვა; II—კრისისების ზღვა; III—კიდის ზღვა; IV—ტალღების ზღვა; V—სმიტის ზღვა; VI—ნაუფიერების ზღვა; VII—სამხრეთი ზღვა.

საქართველოს სსრ გეგნიერებათა აკადემიის ორგანო

კონსტრუქციის დანახვენი

კონსტრუქციის დამუშავება საბჭოთა ადამიანების გმირობაა მსოფლიოს ამერიკა ახალი ერა, როგორც ადამიანმა, რომელიც დაუდრინო ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, ასტრონომიისა და სხვა მეცნიერებათა კანონების უდრმეს ცოდნას, შექმნა ძალა, რომელსაც შეუძლია გაგზავნოს დედამიწიდან ცის სხვა სხეულზე მძლავრი კონსტრუქციის ზომადი და მიყვანის იგი ზუსტად დატოვებული პუნქტზე.

ნ. ს. სრუშოვი

ბ. დანილინი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ჩვენი პლანეტის ირგვლივ ისევ მოძრაობდა დედამიწის ყველაზე დიდი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, როგორც მთელ მსოფლიოს ელვისებური სისწრაფით მოედო ამაღლებული ცნობა: 1959 წლის 14 სექტემბერს მეორე საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ, წარმატებით შესარულა რა მეცნიერულ გამოკვლევათა პროგრამა, მიაღწია მთავარმდე და მის ზედაპირზე მიიტანა ალამი მსოფლიოში გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყნის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ღერძის გამოსახულებით.

სულ რამდენიმე ათეული საათი გაგრძელდა რაკეტის ფრენა მთავარმდე. ამ დროის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ობსერვატორიის ტელესკოპები მთვარი-საკენ იყო მიმართული. ახალი კოსმოსური სხეულის მოძრაობაზე განუწყვეტელი დაკვირვებისათვის ამოქმედდა ასტრონომიულ ხელსაწყოთა და ურთულეს რადიოტექნიკურ საშუალებათა მთელი არსენალი. შორეული ღრუბლიანი სფეროს იქითა მხრიდან დედამიწა ხარბად იჭერდა ძვირფას სიგნალებს, რომლებიც ცხადყოფდა, რომ საბჭოთა მეცნიერება გაბედულად იჭრება სამყაროს საიდუმლოებაში.

1959 წლის 4 ოქტომბერს, მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების ორი წლისთავის დღეს, კოსმოსში გამოჩნდა პირველი საბუნეტათმშობის ავტომატური სადგური. მისი ზუსტი ფრენა წინასწარ მოცემული რთული ტრაექტორიით გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი აზრის შემართებას არა აქვს ზღვარი. დამოზრჩილია რა ადამიანის ნებას, მან გაიარა მთვარის მახლობლად 7 ათასამდე

კმ მანძილზე, შემოუარა მთვარეს და დაიწყო მოძრაობა უკან, დედამიწის მიმართულებით.

საბუნეტათმშობის ავტომატური სადგურზე დაღმული აპარატურა, რომელიც მოქმედებდა მოცემული პროგრამის შესაბამისად, დღე-ღამეში ერთხელ დედამიწიდან ბრძანების მიხედვით გადმოსცემდა რადიოელომეცნიერულ ცნობას კოსმოსურ სივრცეში განუწყვეტელივ მიმდინარე პროცესებზე.

დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვების პირველ დღეებში ოკეანესაღმერი ზოგიერთი სკეპტიკოსი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ თანამგზავრის წარმატებით გაშვება საბჭოთა მეცნიერების შემთხვევითი მიღწევაა, რომ ეს მხოლოდ ცალკე საინჟინრო რეკორდია. როგორც გატყუვდა მათი იმედი, როდესაც ერთ თვეში — 1957 წლის 3 ნოემბერს — კოსმოსში აფრინდა დედამიწის მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, რომლის ქიმიკ მოთავსებულ იყო უფრო რთული აპარატურა და პირველი კოსმოსური მგზავრი — ძალიან ლიკა! გავიდა ნახევარი წელი და 1958 წლის 15 მაისს ორბიტაზე გაყვანილ იქნა მესამე საბჭოთა თანამგზავრი — მთელი კოსმოსური ლაბორატორია სხვადასხვაგვარ და სრულყოფილ ხელსაწყოთა უზარმაზარი კომპლექსით.

1959 წლის იანვარში განხორციელდა ახალი თვისობრივი ნახტომი კოსმოსის შესწავლაში — გაშვებულ იქნა მსოფლიოში პირველი კოსმოსური რაკეტა.

უდიდესი მიღწევები კოსმოსური გაფრენების განხორციელებაში შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირში საკონტინენტათმშობის მაღალტექნოლოგიური





ბალისტიკური რაკეტების (რომლებიც მაღალკალორიულ საწვავს იყენებს) შექმნისა და ავტომატური მართვის საიმედო სისტემათა დამუშავების გამო, რომლებიც უზარუნველყოფს რაკეტის მგვამარეობის სტაბილიზებას სივრცეში და მოცემული ტრაექტორიით მის ზუსტ სელას.

საბჭოთა თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების გაშვებამ მთელ მსოფლიოს უჩვენა სამაშულო რაკეტოშენებლობის მაღალი ღონე, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის უღირსი მიღწევები და გიგანტური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რომელსაც საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა მიღწიეს.

ციფრები, რომლებმაც გააოცა მსოფლიო

მსოფლიოში პირველმა დედამიწის ხელოვნურმა თანამგზავრმა თავისი ზომებითა და წონით ყველა გააოცა. ეს იყო 83,6 კგ წონისა და 58 სმ დიამეტრის მქონე სფერო 4 გრძელი ანტენით. თანამგზავრის აპოგეის მაქსიმალური სიმაღლე გაშვების პერიოდში 947 კმ-ის ტოლი იყო, ხოლო მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 96,17 წუთი. მან იარსება 92 დღე და ამ დროის მანძილზე გაიშრო 1400 ბრუნვებზე.

თითოეული საბჭოთა თანამგზავრის მატარებელი რაკეტის წონა მნიშვნელოვნად აღემატებოდა 4 ტ-ს.

მეორე საბჭოთა თანამგზავრი არ წარმოადგენდა ცალკე კონტინერს მეცნიერული აპარატურით, არამედ იყო ბალისტიკური რაკეტის უკანასკნელი საფეხური. მეორე თანამგზავრის მატრტ სამეცნიერო აპარატურის წონა 508,5 კგ იყო. აპოგეის მაქსიმალური სიმაღლე გაშვებისას უდრიდა 1671 კმ-ს, ხოლო მიმოქცევის საწყისი პერიოდი 103,75 წუთს. თანამგზავრმა 162 დღე იარსება და ამ დროის მანძილზე გააკეთა 2370 ბრუნვი.

წონა მესამე საბჭოთა თანამგზავრისა, რომელიც გამოიყო მატარებელი რაკეტის უკანასკნელ საფეხურს, 1327 კგ-ს შეადგენდა. აპოგეის მაქსიმალური სიმაღლე გაშვებისას 1880 კმ-ს უდრიდა, ხოლო მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 105,95 წუთს.

საბჭოთა თანამგზავრების უზარმაზარმა გაბარიტებმა მათზე სხვადასხვა სამეცნიერო მოწყობილობისა და კვების წყაროს (აქუმულატორებისა და ბატარეების) დიდი კომპლექსის დადგმის და ხელსაწყოთა საჭირო მდებარეობით განლაგების საშუალება მოგვცა და თავიდან აგვაცილა საზომა ან გადამცემი აპარატების ერთმანეთზე არასასურველი გავლენა.

გარდა ამისა, საბჭოთა თანამგზავრების ღირმა ზომებმა მათ ფრენაზე მარტივი ოპტიკური ხელსაწყოებით დაკვირვების შესაძლებლობა მოგვცა, რაც საშუალებას იძლევა შევისწავლოთ მათი ორბიტების ცვლილების ხასიათი დროსა და სივრცეში.

თანამგზავრები არ იძლევა მონაცემებს მათი ვერტიკალური ჭრილის შესახებ ერთ რომელიმე წერტილში, მაგრამ სამაგიეროდ საშუალებას იძლევა დროის დიდ მონაკვეთში დავაკვირდეთ, როგორ იცვლება მისი თვისებები გეოგრაფიული განედისა და გრძედის, აგრეთვე თანამგზავრის ფრენის სიმაღლის ერთ დროულ ცვლილებასთან ერთად (არაუდბაღს 16 კმ-ისა). უფრო დაბალ სიმაღლეზე თანამგზავრის ფრენა პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც, გაანია რა უზარმაზარი სიჩქარე, აირის მოლეკულებთან შეჯახების გამო ის სწრაფად ზურღდება და იწვის. რაკეტის სიჩქარე საგრძნობლად დაბალია და მისი დახმარებით შეიძლება ნებისმიერ სიმაღლეზე გამოკვლევის პრაქტიკულად ჩატარება, მივიღებთ რა გაშვების რაიონში ატმოსფეროს ხანმოკლე ვერტიკალურ ჭრილს.

აი რატომ გამოიყენება ფართოდ სსრ კავშირში თანამგზავრებთან ერთად გეოფიზიკური და მეტეოროლოგიური რაკეტები. საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის მიხედვით რაკეტის გაშვება წარმოებს სულ სხვადასხვა რაიონებში: საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის საშუალო განედებსა და ფრანც-იოსების მიწაზე; ევკატორულ განედებსა და დასახლება „მირნის“ მახლობლად ანტარქტიდაში (დიზელ-ეფექტორმაღალ „ობის“ ქიმიდან). თუ გეოფიზიკური რაკეტის პირველი ვერტიკალური გაშვებისას 1949 წელს 110 კმ-ის სიმაღლეზე ატყორცნულ იქნა 120 კგ წონის სამეცნიერო აპარატურა, 1958 წელს უკვე 473 კმ სიმაღლეზე ატანულ იქნა 1,5 ტ სამეცნიერო აპარატურა. სამეცნიერო აპარატურის უფრო დიდი კომპლექსი, რომლის წონა 2,2 ტ-ს აღემატებოდა, ატანულ იქნა ატმოსფეროს ზედა ფენებში გასული წლის ივლისში.

კოსმოსური ერის ახალ დიდ მოვლენას წარმოადგენდა 1959 წლის 2 იანვარს მთვარისაკენ პირველი საბჭოთა კოსმოსური რაკეტის გაშვება. შეასრულა რა მეცნიერულ გამოკვლევათა პროგრამა და ჩაუარა რა მთვარეს 5 ათასი კმ მაძილზე, რაკეტა გავიდა დედამიწის მზიდულობის სფეროდან და იქცა მზის სისტემის პირველ ხელოვნურ პლანეტად. კოსმოსური რაკეტის წონა მის შემდეგ, რაც მასში საწვავი დაიხარჯა, 1472 კგ-ის ტოლი იყო, ხოლო მისი მარგი დატვირთვა 361,3 კგ-ს შეადგენდა.

ფირების დამუშავება, რომლებზეც ჩაწერილია გიგანტური კოსმოსური ლაბორატორიების ქიმებიზუ დადგმულ ხელსაწყოთა ჩვენება, ახალ ცნობებს მოგვცემს კოსმოსურ სამყაროზე.

საპლანეტოშორისო აირის გამოკვლევა და მეტეორულ ნაწილათა შესწავლა დაგეგმარება დაადგინოთ, რითა გაგებულ კოსმოსური სივრცე დედამიწასა და

მის პოლშივ თანამგზავრ მთვარეს შორის. ასეთი მონაცემები საპლანეტაროშორისო მატერიის სიმკვრივისა და სხვა თვისებების შესახებ აუცილებელია კოსმოსურ სამყაროში მომავალ ვაფრენათა დაპროექტებისათვის. რაკეტები საშუალებას მოგვცემს გავარკვიოთ კოსმოსური რადიაციის ინტენსივობა დედამიწიდან სხვადასხვა მანძილზე და მოგვითხრობს კოსმოსური გამოსხივების შედგენილობაზე. ეს ცნობები საჭიროა მომავალ ასტრონავტთა კოსმოსური სხივების დამლუპველი მოქმედებისაგან ეფექტური დაცვის საშუალებათა დასამუშავებლად.

საქარაგდება საქართოს საიდუმლოება

მსოფლიოში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვების შემდეგ ძირეულად შეიცვალა წარმოდგენა ჩვენი პლანეტის ჰაერის გარსისა და მის მოსაზღვრე კოსმოსურ სამყაროზე. თანამგზავრებისა და რაკეტების კომპლექსურმა გამოყენებამ მიწისზედა რადიოზონდებისთან შესაბამისი საშუალება მოგვცა შეგვესწავლა ზედა ატმოსფეროს ძირითადი თვისებები 800-1000 კმ-ის სიმაღლემდე.

თანამგზავრების დამუხრუჭებამ და მანომეტრების საშუალებით გაზომვებმა გვიჩვენეს, რომ ატმოსფეროს სიკვრივე დიდ სიმაღლეებზე საგრძნობლად მერია, ვიდრე ვარაუდობდნენ ნაადრევი რაკეტული გამოკვლევების თორიული დამუშავებით მიღებული მონაცემებით, და რომ ამ ფენებისათვის დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა.

თანამგზავრებმა გვიჩვენა, რომ ატმოსფერო მუდამ იცვლის თავის სიმკვრივისა და ტემპერატურას. მართლაც, ატმოსფეროს რომ ჰქონდეს უცვლელი თვისებები, მაშინ დამლუპრუების შედეგად აღინიშნებოდა თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდის უცვლელი შემცირება; იმორჩავედა რა სპირალისებრად, დედამიწის ატმოსფეროს უფრო მეტივე ფენებში შესვლისას თანამგზავრი თანდათან დაეშვებოდა. მაგრამ შეინიშნულ იქნა, რომ ზოგჯერ თანამგზავრი წყვეტს დაშვებას და მისი მოძრაობის ტრაექტორიაზე წარმოიქმნება თავისებური „უტიზ“. მაშასადამე, ატმოსფერო ხან იკუმშება, ხან ფართოვდება.


რა არის ატმოსფეროს ამ თავისებური „სუნთქვის“ მიზეზები? თანამგზავრებზე დაკვირვებები სჭაწის პროგრამით დაემთხვა მზის აქტივობის პერიოდს. ყოველთვის, როცა მზეზე ჩნდებოდა მოვლენები, რომლებიც იწვევდა მაგნიტურ ქარიშხლებსა და შემფოთებებს იონოსფეროში, რადიოსი, ტელეგრაფისა და ტელეტიპის საშუალებით დედამიწის ყველა რაიონში გადმოიცემოდა პირობითი სიგნალი „ალერტ!“ ამ სიგნალზე დაუყოვნებლივ იწყებდა მუშაობას ასეული სადგური და ოსტერვატორია. ასეთმა დაკვირვებებმა შესაძლებელი გახადა

დადგენათ, რომ ზედა ატმოსფეროს თვისებების ცვლილებასა და მზეზე მიმდინარე პროცესებს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი.

მესამე საბჭოთა თანამგზავრზე დადგულმა რადიოსიხსნებულმა მას-სპექტრომეტრმა, რომელიც რაკეტებით აგრეთვე მრავალჯერის ადიოდა ატმოსფეროს ზედაფენებში, საშუალება მოგვცა გავცასაზღვრა ატმოსფეროში შემავალი იონების შედგენილობა. აღმოჩნდა, რომ 230-900 კმ-ის სიმაღლეზე ძირითადი იონებია: ატომური ჟანგბადისა და მცირე რაოდენობით ატომური აზოტის იონები. პირველი ცნობები ნეიტრალური ნაწილაკების შედგენილობაზე, მათ შორის მსუბუქი აირების ატომებისა და მოლეკულებისა, მიღებულია გეოფიზიკური ბალისტიკური რაკეტის მაღლივი გაშვებისას გასული წლის ივლისში.

მათი შემწეობით ჩვენ გავიგეთ, როგორი გავლენა აქვს ზედა ატმოსფეროს შედგენილობაზე ვერტიკალურ საპერო დინებებს, რომლებიც აღწევს მეტად დიდ სიმაღლეებს და იწვევს მათ განუწყვეტლივ გადაადგილებას. ეს დინებანი რომ არ ყოფილიყო, ყველაზე უფრო მძიმე აირები — ჟანგბადი და აზოტი — დედამიწასთან ახლოს იქნებოდა, ხოლო დიდ სიმაღლეებზე თავს მოიყარდა ყველაზე მსუბუქი აირები — წყალბადი და ჰელიუმი.

არტუთ ისე დიდი ხნის წინათ მეცნიერები თვლიდნენ, რომ იონოსფერო შედგება ძლიერ იონიზებული ცალკეული ფენებისაგან, რომლებშიც არსებობს თავისუფალი ელექტრონების უზარმაზარი გროვა. ვარაუდობდნენ, რომ ელექტრონული კონცენტრაციის მთავარი მაქსიმუმი მდებარეობდა 300-400 კმ-ის სიმაღლეზე, შემდეგ კი იგი სწრაფად ეცემოდა. თანამგზავრებისა და რაკეტების საშუალებით გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ 60 კმ-ის სიმაღლიდან დაწყებული ვრცელდება იონიზებული აირის მთლიანი მასივი. მთავარ მაქსიმუმზე მაღლა ელექტრონული კონცენტრაციის კლება მნიშვნელოვნად ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მისი ზრდა იონოსფეროში.



დედამიწის გარემოცველი ამაღლებული რადიაციის ზონის კონფიგურაცია. მთლიანი ხაზი არის კოსმოსური რაკეტის მოძრაობის ტრაექტორია

როს ქვედა ნაწილში. 2-3 ათას კმ-ის სიმაღლეზედაც თითოეული კუბური სმ რამდენიმე ასეულ ელექტრონს შეიცავს. როგორც ჩანს, სწორედ აქაა დედამიწის პერის გარის საზღვარი.

პირველ საბჭოთა კოსმოსურ რაკეტაზე მოწყობილმა ცდამ საპლანეტათშორისო ნივთიერების აბრეშინი კომპონენტების პირდაპირი შესწავლის მიზნით გვიჩვენა, რომ 1500 კმ-ის სიმაღლეზე ყოველი კუბური სმ შეიცავს დაახლოებით ერთ ათას პროტონს (დადებითად დამუხტულ ნაწილაკებს) და 110-150 ათას კმ-ის სიმაღლეზედაც კი რეგისტრირებულია 300-400 ნაწილაკი კუბურ სმ-ში. მაშასადამე, საპლანეტათშორისო სივრცე სიცარიელედ სრულიად აღარ ითვლება. გარდა იონიზებული ატომის, ის იმსჭვალავს მიკრომეტრების, კოსმოსური სხივებისა და მზიდან გამოტყორცნილი კორპუსკულების ნაკადებით.

თანამგზავრებმა დაადგინეს, რომ კოსმოსში მეტეორული ნივთიერება მეტისმეტად დანაწილებულ მდგომარეობაში იმყოფება და მეტეორთა უმრავლესობა წარმოადგენს არა მასიური ქვის ან მეტალურ ნაწილაკებს, არამედ ფხვიერ სხეულებს, რომლებიც გვაგონებს ჭკარტლის ან თოვლის ფანტელს. კოსმოსურ რაკეტაზე მოწყობილმა ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ გრამის დაახლოებით ერთი მეშვიდედი მასის მქონე ნაწილაკები რამდენიმე საათის განმავლობაში ერთხელ ხვდებიან რაკეტის ზედაპირს, უფრო მსხვილ ნაწილაკებთან შეხვედრების ალბათობა უფრო მეტად მცირეა.

თანამგზავრზე დადგმულმა ხელსაწყოებმა, რომლებიც გაეკეთებინათ დამუხტული ნაწილაკების რეგისტრაციისთვის, სრულიად მიუღიანებლად აღმოაჩინა, რომ ატმოსფეროში, დაწყებული 500-1000 კმ-ის სიმაღლიდან, არსებობს კოლოსალური სიჩქარეებით მოძრავი ნაწილაკების უდიდესი რიცხვის გროვა. ეს ნაწილაკები აღტყვავილია ელექტრული მუხტით და ჩაკეტილი თავისებურ მჭერში, რომელიც შექმნილია ჩვენი პლანეტის ახლოს მისი მაგნიტური ველით, ისინი ძლიერ დიდხანს დახეტებებიან მის ახლოს და ქმნიან დედამიწის გვირგვინს.

საკვებით მოულოდნელად აღმოჩნდა აგრეთვე დედამიწის მაგნიტური ველის გაზომვითა შედგებიც. დედამიწის მესამე ზელოვნურ თანამგზავრზე დადგმული მაგნიტომეტრმა აჩვენა, რომ მოდმივე გეომაგნიტური ველის ორივე მთავარი ნაწილი — ერთგვაროვანი დამაგნიტებისა და მსოფლიო ანომალიისა — დედამიწიდან დაშორების მიხედვით დაახლოებით ერთი და იმავე სიჩქარით მცირდება. ეს მიხვედრებებს, რომ ორივე ველის წყაროები მდებარეობს დედამიწის შიგნით ერთსა და იმავე სიღრმეზე. როგორც ჩანს, არასწორია ამაყად ფიქრობდნა გავრცელებული დედამიწის მაგნიტის „ფერმაგნიტური“ თეორია, რომელიც ხსნის გეომაგნიტური ველის მთავარ ნაწილს დედამიწის ქერქის საკუთარი მაგნიტიზმით.


შესანიშნავი ზერსპექტრები

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ტექნიკისათვის ინტერესს არ წარმოადგენდა ატმოსფეროს მაღალი ფენებისა და მასთან მომიჯნავე კოსმოსური სივრცის მდგომარეობა. ამაყად ის ვითარება მეკვთრად შეიცვალა. ზუსტად მონაცემები და სიმაღლეებზე პერის სიმკერვესა და შედგენილობაზე, დედამიწის ატმოსფეროს იონიზაციის ხარისხზე, კოსმოსური სხივების ინტენსივობასა და ენერგიაზე, მზის ულტრაიისფერ და რენტგენულ გამოსხივებაზე, მეტეორულ საშიშროებაზე, რომელიც აუცილებელია რადიოკავშირული ხაზის გაანგარიშების, რაკეტის ან თანამგზავრის გაფრენის, საპლანეტათშორისო ხომალდის აფრენის ან დაფრენისათვის.

პირველი მონაცემები კოსმოსურ სივრცეზე მოგვცა თანამგზავრებმა და რაკეტებმა. მაგრამ როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს ჩვენი პლანეტისა და დედამიწის მახლობელი სივრცის შემსწავლელი ავტომატური ლაბორატორია, მოვა დრო, როცა კოსმოსური ხომალდის ქიმიკ ფეხს შედგამს ადამიანი და წაყვანს ხომალდს სამყაროს გამოუცნობ სივრცეში.

შესაძლებელია თუ არა ადამიანის გაფრენა კოსმოსში? შეუძლია თუ არა მას ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად გადაიტანოს სრულიად უჩვეულო პირობები, რომლებიც თავს იჩენს კოსმოსური ფრენის დროს?

ამყამდ, როცა კოსმოსური სივრცის შესწავლა ჩვენი ცოდნა მეცნიერების ისტორიაში არანაშული სისწრაფით



ელექტრონული კონცენტრაციის მრუდების ცვლილება სიმაღლეზე, რომელიც მიღებულია დედამიწის პირველი საბჭოთა ზელოვნურ თანამგზავრის რადიოიონიზაციის დამუხტების შედეგად 1957 წლის 8 ოქტომბერს (მთლიანი ხაზი) და მაღლივი გეოფიზიკური რაკეტის ვაშვების 1958 წლის 21 თებერვალს (ორმაგი ხაზი)

იზრდება, ჩვენი არა მარტო შეგვიძლია დადებითი პასუხის გაცემა, არამედ დახასიათებაც კი იმ ძირითადი პრობლემებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, რათა ადამიანი, რომელიც იმოგზაურებს კოსმოსში, ჯანმრთელი და მხნე დაუბრუნდეს ისევ დედამიწას.

ცხოველებზე ჩატარებული ცდები გვიჩვენებს, რომ მათ ყოველგვარი მანერა შედეგების გარეშე გადაქეთ წარმოშობილი გადატვირთვა სტარტის პერიოდსა და კოსმოსური ზომადის სიჩქარის სწრაფი ზრდის დროს. არაერთი მისწრაფა არაა, რომ ის ვერ გადაიტანოს ადამიანმა, რომელმაც დედამიწაზე გაიარა წინასწარი ვარჯიში.

დაკარგა თავისი საიდუმლოების მნიშვნელოვანი წილი უწონადობის მდგომარეობამ, რომელშიაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იქნებოდა კოსმოსური ზომადის მგზავრები მას შემდეგ, რაც ის აიღებს მოცემულ კურსს. ძაღლისა და ბაჭის გადგრენამ გეოფიზიკური რაქტებით და დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრის კონტინერში ლაიკას ხანგრძლივმა ყოფნამ აჩვენა, რომ ცოცხალ ორგანიზმს კარგად გადააქვს მისთვის ეს უჩვეულო მდგომარეობა.


მეტეორული საშიშროება აშკარად გავიადებული იყო. კოსმოსში ხანგრძლივი ფრენის მთელ მანძილზე ხომ არც ერთი საბჭოთა თანამგზავრი არ დაჯახებია რამდენადმე მნიშვნელოვანი სიდიდის მეტეორს. არ დაზიანებულა დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის ზედაპირზე დაყენებული სილიციუმიანი ბატარეებიც კი. თანამგზავრის ასრებობის მთელი დროის განმავლობაში ისინი მზის სხივურ ენერგიას გარდაქმნიან ელექტრულ დენად, რომელიც აუცილებელია რადიოგადამცემის კვებისათვის. მათი შემწეობით აი უკვე 20 თვეზე მეტია გვესმის სიგნალები, რომლებიც გამოგზავნილია კოსმოსური შორეთიდან.

თანამგზავრებმა მნიშვნელოვანდ შეამცირეს ჩვენი შეიმი ცოცხალ ორგანიზმზე კოსმოსური რადიაციის ზემოქმედებაზეც. სპეციალური დამცავი კოსტიუმების გამოყენება და კოსმოსური ზომადის სტარტისათვის ადგილის სწორი შერჩევა საშუალებას მოგვცემს ასტრონავტებს აუაროდთ შესაძლო სხივური დაავადებანი.

დღეისათვის ყველაზე უფრო რთული პრობლემა, რომელიც საბოლოოდ კერ კიდევ გადაუწყვეტელია, არის კოსმონავტების დაბრუნება დედამიწაზე. ატმოსფეროს მეკრეფ ფენებში შესვლისას უდიდესი სიჩქარით მფრინავი კოსმოსური ზომადის კორპუსი შესაძლებელია ძლიერ გავარვარდეს, გადნეს და დაიწვას კიდევ, როგორც მეტეორი.

ამისათვის აუცილებელია სპეციალურ მოწყობილობათა საშუალებით, რომლებიც გათვალისწინებულია კვლევის აეროდინამიკური და ბალისტიკური მეთოდებით, ატმოსფეროს მეკრეფ ფენებში შესვლისას მოიქმნოს კოსმოსური ზომადის კორპუსის ეფექტური გაგრილებისა და მათი სიჩქარის შემცირების საშუალებანი.

სანამ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ იქნება მთელი დიდი კომპლექსი საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია გაფრენის უსაფრთხოებასა და დედამიწაზე მშვიდობიანი დაბრუნების უზრუნველყოფასთან, მანამდე ადამიანის საპლანეტათშორისო მოგზაურობის თარიღზე ლაპარაკი ნაადრევია.



დადებითი ოჩნების კონცენტრაციის მრუდის ცვლილება სიმაღლის მიხედვით

მაგრამ ეკვი არაა, რომ საბჭოთა ადამიანები ღირსეულად გაართმევნ თავს ამ ამოცანასაც და მოწყენი გავხლებით კოსმოსური სივრცის ათვისებაში ჩვენი ქვეყნის ახალი ბრწყინვალე მიღწევებისა.

ჩ ა ნ ა თ ე (იხ. გვ. 16): დედამიწის ატმოსფეროს აგებულება. მარცხნივ ნაჩვენებია სიმაღლეები კილომეტრებში. მრუდი მარცხენა ზედა კუთხეში აჩვენებს დამუხტული ნაწილაკების კონცენტრაციის ცვლილებას (პირობითი ერთეულებში) სიმაღლისაგან დამოკიდებულებით.

მსოფლიო


საქართველო
საზოგადოებრივი

პ. ბაჩალიაძე

„მზის პანელა“

მზის ენერგიის გამოყენების პრობლემა დიდი ხანია აღამიანის ყურადღებას იპყრობს. აღამიანი მრავალი წლის მანძილზე ეძებდა რაიმე ეფექტურ და იაფ საშუალებას მზის ენერგიის უშუალოდ ელექტრულ ენერგიად გარდასაქმნელად. ბევრი მეთოდი იქნა გამოცხადებული, ბევრი იარაღი აგებული, მაგრამ ყველა მათგანის მარგი ქმედების კოეფიციენტი (მ. ქ. კ.) ძალზე დაბალი იყო. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1888 წელს ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. ა. ულიანინმა სელენისაგან დამზადებული ფოტოელემენტი, რომელიც სინათლის სხივად ენერგია ელექტრულ ენერგიად გარდა-

მელშიც p-n გადასასვლელია შექმნილი, შესაძლებელი გახდა შედარებით დიდი მ. ქ. კ.-ით სხივადი ენერგიის ელექტრულ ენერგიად გარდაქმნა. ამ მიზნებისათვის



ნახ. 2


გამოსაყენებელი ფოტოელემენტი, რომელიც დამზადებულ იქნა კაჟადისაგან, პირველად 1954 წელს შექმნეს და მისი მ. ქ. კ. 6%-ს უდრიდა. შემდგომში შესაძლებელი გახდა მ. ქ. კ.-ის გაზრდა 11%-მდე. ასეთი ფოტოელემენტები საშუალებას იძლევა მზის სხივებით განათებულ მათი ზედაპირის 1 კვ. მეტრიდან 100 ვატზე მეტი ელექტროენერგია მივიღოთ.

თეორიული გამოთვლები გვიჩვენებს, რომ კაჟადის ფოტოელემენტის მ. ქ. კ.-მა შეიძლება 30%-ს მიაღწიოს.

დიდი ხანია ცნობილია, რომ მზის სხივადი ენერგიის გარდაქმნა ელექტრულ ენერგიად, გარდა ფოტოელემენტისა, შესაძლებელია თერმოელემენტებითაც, მაგრამ ამ უკანასკნელის მ. ქ. კ. ძალზე დაბალია (ნახ. 1).

რათა წარმოდგენა ვიქონიოთ კაჟადის ფოტოელემენტის მ. ქ. კ.-ზე, შედარებისათვის საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მცენარეთა მიერ სინათლის გამოყენების — მათ მიერ მზის ენერგიის სათბობის ენერგიად გარდაქმნის მ. ქ. კ. 1%-საც არ აღწევს, ხოლო ორთქლის ძრავის მ. ქ. კ. 6-8%-ის ტოლია (ნახ. 2).


მე-3 ნახ.ზე წარმოდგენილია კაჟადის ფოტოელემენტის სპექტრული მახასიათებელი. აქ A მრუდი გვიჩვენებს მზის სპექტრში ფოტონების რიცხვის განაწილებას ტალღის სიგრძის შესაბამისად. როგორც ჩანს, მაქსიმუმი 0,75 მიკრონის* სიგრძის ტალღაზე მოდის. ეს წითელი ფერისა და ინფრაწითელი სხივების საზღვარია. ამავე ნახ.ზე B მრუდი გვიჩ-



ნახ. 1

იქმნებოდა. მაგრამ ამ ელემენტის მ. ქ. კ. 0,6%-ს არ აღემატებოდა.

მხოლოდ უკანასკნელ წლებში ნახევარგამტარების გამოყენებით, რა-




ნახ. 3

ვენებს კაჟადის ფოტოელემენტიდან მიღებული ელექტროენერგიის გა-


* დასასრული. იხილეთ „მეცნიერება და ტექნიკა“, № № 8, 9, 10, 1959 წ.

* 1 მიკრონი = 0,001 მმ-ს.



ნახ. 4

ნაწილებას ტალღის სიგრძის მიხედვით. აქ ნათლად ჩანს, რომ ელექტროდებისა და ფოტონების რიცხვის მაქსიმუმი ერთმანეთს ემთხვევა. ეს იმას ნიშნავს, რომ მზის სხივადი ენერგიის ელექტრულ ენერგიად გარდასაქმნელად ხელსაყრელია კაუბადის ფოტოელემენტის გამოყენება. მეორე მხრივ, B მრუდი იმაზე მიგვითითებს, რომ თუ კაუბადის ფოტოელემენტს ვაშუქებთ წითელი და ინფრაწითელი სხივებით, მაშინ იგი მაქსიმალურ დენს მოიცემს. ამავე დროს ცნობილია, რომ ნისლი და ღრუბლები ატარებს ის ფრაქციულ სხივებს. ამიტომ კაუბადის ფოტოელემენტები ღრუბლი



ნახ. 5

ამინდშიც მუშაობს — იძლევა ელექტრულ დენს, თუმცა ამ შემთხვევაში მათი მ. ქ. კ. უფრო დაბალია.

კაუბადის ფოტოელემენტი შემდეგნაირადაა აგებული: დაახლოებით 1 მმ სისქის n ტიპის კაუბადის ფირფიტას ათავსებენ ლუმენში, რომელშიც შემგებულაა ბორი. ლუმენში ტემპერატურას 1400°C -მდე ასწევენ. ბორი ასეთ ტემპერატურაზე დიფუნდირდება კაუბადში და მისი ზედაპირული ფენა p ტიპის გამტარებლობისა გახდება. ამგვარად, ჩვენ მივიღებთ კაუბადის ფირფიტას, რომლის შიგნით n ტიპის, ხოლო ზედაპირზე p ტიპის გამტარებლობა გვექნება. ამ ორი ფენის საზღვარზე წარმოიქმნება $p-n$ გადასასვლელი (ნახ. 4).

p ფენასთან კონტაქტის განხორციელება ადვილია: იგი ფირფიტის ზედაპირზე გამოდის. რაც შეეხება n ფენას, მასთან კონტაქტისათვის კაუბადის ფირფიტის ერთ მხარეს ამოღარავენ AB სივანის ზოლს ისეთ სიღრმეზე, ვიდრე არ დავლენ n ფენამდე და კაუბირს განახორციელებენ k კონტაქტის მეშვეობით.



საქართველოს
საზოგადოებრივი მეცნიერებათა
აკადემიის


ამგვარად დამზადებულ ფოტო-ელემენტში მზის სხივების მოქმედებით წარმოიქმნება ხვრელისა და ელექტრონის წყვილი. ეს წყვილი

მე-6 ნახ-ზე ნაჩვენებია 432 ელემენტისაგან შექმნილი ბატარეა. აქ ცალკეული ელემენტი მრგვალი ფორმისაა. ასეთ „მზის ბატარეას“ უც-

მე-8 ნახ-ზე წარმოდგენილია ლითონები იკვებება „მზის ბატარეისაგან“, რომელიც შედგება მრგვალი ფორმის კაეზადის შვიდი ფოტოელემენტისაგან.

მე-9 ნახ-ზე მოცემული „მზის ბატარეა“, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის მიერაა დამზადებული, იძლევა 6 ვოლტ ე. მ. ძ.-ს და მისი მ. ქ. კ. 6%-ს აღწევს.

დიდი წარმატებით იყენებენ „მზის




ნახ. 6

p-n ფენაში არსებულ პოტენციალთა კონტაქტური სხვაობის გამო გამოიყოფა: ელექტრონი გადავა ერთ მხარეს, ხოლო ხვრელი — მეორე მხარეს. მუხტების ასეთი გადაადგილება p და n ფენებისავე. წარმოქმნის ამ ფენებს შორის პოტენციალთა სხვაობას, რაც გარე წრედში მოგვცემს ელექტრულ დენს.

ერთმანეთთან შეერთებული კაეზადის რამდენიმე ფოტოელემენტი გვაძლევს ბატარეას, რომელსაც ჩვეულებრივად „მზის ბატარეას“ უწოდებენ.

მე-5 ნახ-ზე წარმოდგენილია კაეზადის ფოტოელემენტისაგან შექ-

ხეთის ერთ-ერთი ფორმა სატელეფონო კავშირისათვის იყენებს. დღის განმავლობაში ბატარეისაგან მიღებული დენით მუშაობს სატელეფონო




ნახ. 8

ნო სადგური, ამავე დროს იტვირთება აკუმულატორები, რომლებიც უზრუნველყოფს სადგურის ღამით მუშაობას.

„მზის ბატარეას“ ჯერჯერობით ძირითადად იყენებენ პორტატული რადიოსადგურებისათვის.

მე-7 ნახ-ზე ნაჩვენებია რადიომიმდები, რომელიც აწყობილია ნახევარგამტარებისაგან დამზადებული რადიოელეტალებისაგან. ეს რადიომიმდები იკვებება მის სახურავში ჩამაგრებული „მზის ბატარეისაგან“, რომელიც თოხი ელემენტისაგან შედგება.



ნახ. 7

მნილი „მზის ბატარეა“, რომლის თითოეულ ელემენტს სწორკუთხედის ფორმა აქვს.



ნახ. 9

ბატარეებს“, როგორც ელექტრული ენერგიის წყაროს, დედამიწის ხელოვნურ თანამზავრებზე; მიღებული ელექტრული ენერგიით კვებავენ თანამზავრებზე დადგმულ ზოგადი პარატურას.

საინჟინერო-ტექნიკური მანქანები და ხელსაწყოები

უნივერსალური სამზარეულო მანქანა*

უნივერსალური სამზარეულო მანქანა YKM შედგება 350 ვატი სიმძლავრის ელექტროძრავასა, ორი რელექტორისა და ელექტროძრავასთან მიერთებული რიგი საცემებისაგან. YKM-ს შეუძლია შემდეგი ოპერაციების შესრულება: კარტოფილის გაწმენდა, ხორცისა და თევზის ფარშის, ხილისა და კენკროვანის წველის მომზადება, ბოსტნეულისა და ხილის დაჭრა-დაკეპვა, ცომის მოზღვლა, ყავის დაფქვა, სხვადასხვა პროდუქტებისაგან საწებელისა და პასტის გაკეთება.

ყურადღებას იქცევს სიჩქარე, რომლითაც ეს უნივერსალური მანქანა ასრულებს ცალკეულ პრო-

ცესს. ცომი იზილება 3-4 წუთში, 3 წუთში შეიძლება გაიწმინდოს 1,5 კგ-მდე კარტოფილი. ხორცის საჭრე-ლის მწარმოებლობაა 400 გრამი ხორცი წუთში.

მეტად სწრაფად მუშაობს საკები და შემრევი; იგი საშუალებას იძლევა დაეანაწევროთ ხილი, ბოსტნეული, დავაგებოთ შაქარი, ორცხობილა, შევერიოთ სასმელები, მოვაზადოთ სხვადასხვა საწებელი, პურე და სხვ. ამ შესანიშნავი მანქანის გამოყენება ოჯახურ პირობებში დაზოგავს დიდ დროს და გაუმჯობესებს კერძის ხარისხსა და ნაირგვარობას.

საოჯახო მაცივარი


საოჯახო პირობებში მაცივრის მნიშვნელობა მეტად დიდია, განსაკუთრებით წელიწადის თბილ პერიოდში. იგი არა მარტო ინახავს პრო-

დუქტებს, არამედ ხელს უწყობს მისი მოხმარების განაწილებასაც.

ჩვენი მრეწველობა საყოფაცხოვრებო მიზნისთვის უშვებს მაცივართა ორ ტიპს: კომპრესიულსა და შთამთქმელს.

კომპრესიულ მაცივრებში („ხილმოსკვა“, „სარატოვი-II“ და სხვ.) სიცივის წარმოქმნა წარმოებს მაცივარი აგენტის (დიფთორიქლორმეთანი — ფრეონი-12) დუღილის შედეგად.


ორთქლისებრი მაცივარი აგენტი იკუმშება ერთცილინდრიან კომპრესორში და დიდი წნევის ქვეშ იჭიმება კონდენსატორში, სადაც იქცევა სითხედ. თხევადი მაცივარი აგენტი კაპილარული მილით მიეწოდება საორთქლებელს. საორთქლებელში მაცივარი აგენტი ორთქლდება და ორთქლწარმოქმნის ფარული სითბოს ხარჯზე იღებს სითბოს სა-



უნივერსალური სამზარეულო მანქანა (YKM): ა—საერთო ხელი საცემების გარეშე, ბ—საკები, გ—ხორცსაკები

ორთქლებლის კედლების მეშვეობით მაცივრის კარადიდან. აორთქლებული მაცივარი აგენტი კომპრესორით ამოიწოვება და ხელახლა

ორთქლებლისა, აბსორბერისა, თბოსაიზოლაციო მასით საესე ლითონის ყუთისა, რომლის შიგნით თავსდება გენერატორი, სახურებელ ელემენტ-



ელექტრომაცივარი „ლინინგადი-2“

იკუმშება. შემდეგ ციკლი თავიდან იწყება. მთელი სისტემა პერმტული და დახურულია.

ელექტროძრავა-კომპრესორი მუშაობს ციკლურად, ე. ი. არაგანუწყვეტლივ, და ქსელში ირთება თერმოსტატისა და სპეციალური რელეს მეშვეობით. საორთქლებელში განსაზღვრული ტემპერატურის მიღწევისას თერმოსტატი ავტომატურად ჩართავს ან გამორთავს ელექტროძრავას. ამრიგად, ტემპერატურა მაცივარ კამერაში პრაქტიკულად მუდმივია.

შთანთქმელის (აბსორბციული) ტიპის მაცივარებში მაცივარი აგენტის ორთქლის შთანთქმა (აბსორბცია) წარმოებს თხევადი ან მაგარი შთანთქმელთ.

მაცივრის მოწყობილობა შედგება საცივებელი ნაწილისა — საორ-

ტინი ალმლისა და კონდენსატორისაგან.

აბსორბერი წარმოადგენს ავსს სპირალის წვავის გრძელი მილით. აბსორბერში არსებული წყალაიკის ხსნარი მიედინება გენერატორში, სადაც ალმლიდან მიღებულ სითბოს ზემოქმედებით მისგან გამოიყოფა ამიაკის ორთქლი. ეს ორთქლი გასაცეხებალ მიეწოდება კონდენსატორს, საიდანაც სუფთა ამიაკის წვეთები განუწყვეტლივ ხვდება საორთქლებელში.

აი ამ მომენტიდან იწყება გაციების პროცესი.

საორთქლებელში თხევადი ამიაკიდან მისი აქროლადობის შედეგად წარმოიქმნება ამიაკის ორთქლი. რადგან აორთქლება მოითხოვს თბურ ენერგიის მნიშვნელოვან ხარჯს, საორთქლებელი ძლიერ ცივდება და

აცივებს მაცივრის კარადის ზოგელ შიგნითა სიღრუეს. წყალაიკის სუსტი ხსნარი ამიაკის აორთქლების შედეგად გელავ იძენს უნარს შთანთქმოს მისი ორთქლი. ასეთია მაცივარი დანადგარის მუშაობის ციკლი, რომელიც მეორდება უწყვეტად მაცივრის ელექტროქსელში ჩართვის შემდეგ.

„გაზოაპარატი“ ერთ-ერთი პირველი საბჭოთა მაცივარია შთანთქმელის ტიპისა. მას აქვს ორსეექციანი სახურებელი ელემენტი. იმისათვის, რომ 23-24° გარე ტემპერატურისას მაცივრის კამერა გააცივოს 8°-მდე, საჭიროა 4 საათი.

უფრო სრულყოფილია მაცივრები „გაზოაპარატი XIII-3A“ ან „სევერ XIII-3“. მარგი ტევადობა მათში გადიდებულია 65 ლიტრამდე. მნიშვნელოვანად გაზრდილია სიცივის მწარმოებლობა. 25%-ით შემცირებულია ელექტროენერგიის ხარჯი. ორსეექციანი სახურებელი ელემენტის სიმძლავრე შეადგენს 70 და 90 ვატს.

სამაშელო მრეწველობა ითვისებს მაცივართა ახალ ტიპებს. ასე, მაგალითად, მოსკოვის ლხინევის სახელობის საავტომობილო ქარხანაში დაადგმარეს საოჯახო მაცივარი 3HJ-2, მოდელი DX-240. 3HJ DX-2 მოდელის მაცივრებთან შედარებით ახალი კონსტრუქცია უფრო სრულყოფილია. მისი მარგი ტევადობა გაზრდილია 248 ლ-მდე.

მაცივრის აგრეგატს აქვს ახალი ეკონომიური ელექტროძრავა და სამედიო თბური და ამუშავების რელე. ელექტრომომწყობილობა განუყოფნილია ორ ძაბვზე — 127 და 220 ვოლტზე. კომპრესორის მწარმოებლობა გაზრდილია, რაც უზრუნველყოფს მაცივრის ნორმალურ მუშაობას გარემოცველი ჰაერის +35° ტემპერატურამდე გადიდების დროს.

კონდენსატორი და ახალი, ორიგინალური კონსტრუქციის ასაორთქლებელი უზრუნველყოფს სითბოს კარგ გაცემას და გამორიცხავს კოროზიის შესაძლებლობას.

სარატოვის ქარხნის ელექტრომა-
ცივრები დიდი ხანია ცნობილია მო-
სახლეობისათვის. ისინი აღჭურვი-
ლია ტექნიკური ავტომატური
რეგულატორით, ტევადია და მუშა-
ობენ ხანგრძლივი დროის განმავლო-
ბაში.

ამჟამად ქარხანამ დაამუშავა ახა-
ლი მოდელი — „სარატოვი-III“.
მისი ტევადობაა 175 ლ.

მაკივრის ქვედა ნაწილში მოთავ-
სებულ პროდუქტების შესანახ სა-
ხურავიან მომინანქრულ ქურქულს,
რომელიც მოითხოვს პაერის გაზ-
რული ტენს, 4-ჯერ მეტი ტევადობა
აქვს „სარატოვი-II“-თან შედარებით
და აღჭურვილია ტიხარით. ერთ სექ-
ციასში შეიძლება ახალი ხილის, ხო-
ლო მერყეში — ბოსტნეულის შე-
ნახვა.

მაკივრის კარის შიგნითა მხარეს
აქვს სამი თარი და გამოყენება
ბოთლების, კვერცხის, შეფუთული
კარაქისა და სხვ. შესანახად.

გამუმობესებულია მისი შესახე-
დაობა. დამოყენებულია სხვადასხვა-
ფრად განაორიებული ალუმინისა
და ნახევარგამჭვირაველ პლასტმასის
დეტალები. კარი, მიუხედავად მისი
ზომების გადიდებისა, იკეტება მჭიდ-
როდ და საიმედოდ. მაკივრის შიგ-
ნით ანათებს ნათურა, რომელიც ავ-
ტომატურად ითვება დროებით, სა-
ნამ კარი ღიაა.

მურომის ელექტრომაცივრების
ქარხანამ ათევის კომპრესიული ტი-
პის მაკივრის — „ოკას“ წარმოება.
მისი ავტომატური თერმოსტატი სა-
შუალებას იძლევა ამოირჩიოს და
ავტომატურად შეინარჩუნოს გაცი-
ვების 10 ხარისხი. მაკივრის საერთო
მარგი ტევადობაა 125 ლ. ადრე გა-
მოშვებული ყველა სამამულო მა-
ცივრებისაგან განსხვავებით მას აქვს
გასაყინი კამერა, რომელშიც შეიძ-
ლება სწრაფად გაიყინოს კვების
პროდუქტები. გასაყინი კამერის მარ-
გი ტევადობაა 18,5 ლ. მაკივარ
კამერაში ტემპერატურა —2°-ს უდ-
რის, გასაყინ კამერაში —12°-ს. მა-
ცივრის ზომებია: სიმაღლე — 1200

მმ, სიგანე — 590 მმ, სიღრმე — 632
მმ, წონა — 90 კგ.

ყველა ახალი კომპრესიული ტიპის
ელექტრომაცივრებისათვის დამახა-
სითებელია მარგი მოცულობის დი-
დი გადიდება და მარგი ტევადობის
კარგი გამოყენება, კერძოდ პროდუქ-
ტების შესანახად კარის შიგნითა ნა-
წილის გამოყენება, გასაყინი კამე-
რის არსებობა.

1958 წელს გასაყინად გამოვიდა
ახალი მაკივარი „ლენინგრადი-2“
(შოამნთქმევის ტიპისა). მისი მარგი
ტევადობაა 65 ლ, ელექტროენერგი-
ის ხარჯი—1,5-2,3 კვტს დღე-ღამეში.
ტექნიკური საშუალო ვარდნილი
გაიზიდავს 21-დან 24°-მდე.

ახალი კონსტრუქციის მაკივრის
სიცივის მწარმოებლობაა 20 კალო-
რიამდე საათში. „ლენინგრადი-2“ შე-
ღებოდა თეთრი ნიტროვალთი, კა-
რადის კარის შიგა ზედაპირი დუბა-
რულია თეთრი სილიკატური ემა-
ლით.

ამჟამად ჩვენს მრეწველობა ითვის-
ებს საყოფაცხოვრებო მაკივრის მა-
ცივარს. იგი შედგება იქნება რამ-
დენიმე პატარა კარადისაგან, რომ-
ლებიც მოთავსდება კედელზე.

თეთრეულის სარეცხი, საშრობი და საუთოპალი მანქანები

სარეცხი მანქანები. თეთრეულის
რეცხვა და უთოობა, როგორც საჭ-
მლის მოზადება, ოჯახში დიდ დროს
მოითხოვს.


1 კგ თეთრეულის ხელით გარეც-
ხვას შეუძლია დაახლოებით 1 საათი,
ხოლო სარეცხი მანქანა „ტულაში“
მასზე იხარჯება სულ 10-11 წუთი.
აქ მოგება მარტო დროში რიგია.
სარეცხი მანქანის გამოყენება ამსუ-
ბუქებს მძიმე ფიზიკურ შრომას. სა-
რეცხი მანქანები CM-1,5, „ტულა“,
„ოკა“ და სხვ. ხელსაწყოება კიდევ
იმტკიც, რომ საპნისა და სოდის მოხ-
მარება ხელით რეცხვასთან შედარე-
ბით 2-ჯერ მეტად მცირდება.

მანქანებში თეთრეულის რეცხვა
შემდეგნაირად წარმოებს. თეთრეუ-

ლი ეწყობა ავზში, რომელშიც ჩაეს-
ხმულია სარეცხი ხსნარი. მანქანაში
და ნაწილში არის ხსნარის გადასად-
გილებელი აქტივატორი (სარევი).
აქტივატორი მოძრაობაში მოჰყავს
ელექტროძრავას. რეცხვის დამთავ-
რების შემდეგ ნამუშევარი ხსნარი
გადიღებება, ხოლო თეთრეული გა-
იწურება ხელის ამძრავიან ლილვა-
კებზე.

მეტად გავრცელებულია სარეცხი
მანქანა CM-1,5 ავზით, რომელიც
განაგარშებულია 1,5 კგ მშრალ
თეთრეულზე. ამ მანქანაში მდებარე-
ვი აქტივატორი წარმოადგენს ფსკერ-
ზე დამონტაჟებულ დისკოს ექვსი
გამოშვებული წიბოთი. აქტივატო-
რის ბრუნვის გამო სარეცხი ხსნარი
ცირკულირებს თეთრეულს შორის
და რეცხავს მას. CM-1,5 მანქანაში
თეთრეულის გაწურვა ხელის ლილ-
ვაკებით წარმოებს.

სარეცხი მანქანები ჯერჯერობით
სრულყოფილი არაა: საჭიროა წყლის
დიდი რაოდენობის წინასწარ გაც-
ხელება, დიდ შრომას მოითხოვს



სარეცხი მანქანა თეთრეულის მექანიკური
საწურით

სველი თეთრეულის გაღატანა და გაწურვა. თეთრეულის ხელით წურვა უნდა შეიცვალოს მექანიკურით. ეს არა მარტო შეამსუბუქებს შრომას, დაზოგავს დროს, არამედ გა-

და ხელის დაჭერით ღილზე, რომელიც ბერკეტის გვერდითაა. წყალი ავზში მიეწოდება რეზინის შლანგით. ნამუშევარი ხსნარის ან წყლის გადაღერა წარმოებს ტუმბოთი, რო-


კონსტრუქციები შრომის მაღალ ეფექტურობას უზრუნველყოფს. ასეთ კარადებში თეთრეული 10-30 წუთის განმავლობაში შვდება.

კონსოლურ საშრობ კარადებში შრომა წარმოებს ელექტრული სახურებელი ელემენტებით, რომლებიც ჩვეულებრივ მოთავსებულია კარადის ქვედა ნაწილში და საშრობი კამერისაგან გამოყოფილია ლითონის კედლით. სახურებულების სიმძლავრე მერყეობს 500-დან 3000 ვატამდე. კარადების კონსტრუქციათა უმრავლესობაში იდგმება გადამრთველი გახურების სამ საფეხურზე.

კარადის ზედა ნაწილში ჩვეულებრივ მოთავსებულია 4-დან 12-მდე მოძრავი ან მოსასხნელი საკიდი. კარადის კორპუსი დამზადებულია ფოლადის ან ალუმინის ფურცლები-საგან, რომლებიც შეღებილია თეთრი ან ფერადი მზურვალმდეგი მინაწერით.

ზოგიერთ მანქანას აქვს საშრობი კამერა ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მბრუნავი პერფორირებული ლითონის რილების სახით. ღილვებში ჩალაგებულ თეთრეულს სპეციალური ვენტილაციური მოწყობილობის მეშვეობით უბერავენ ცხელ ჰაერს, რომელიც წარმოიქმნება მანქანაში მოთავსებული სახურებელი ელემენტისაგან.

საუთოებელი მანქანა მცირე წონისაა და მოწყობილობით მარტივია. მაუდით და ქსოვილით შემოჭიმული ღილვი ბრუნავს 90 ვატი სიმძლავრის პატარა ელექტროძრავით წუთში 6 ბრუნის სიჩქარით. უთოს როლს ასრულებს შვანჭეტი ფილა, რომელიც გარშემოცხვერება ღილვს ორი სახურებელი ელემენტით. თითოეულ მათგანს აქვს თავი-ლი თერმობრეკელატორი. საუთოს შვანჭეტი ფილა ფეხის სატრფულის მეშვეობით მიეჭირება მბრუნავ



საუთოებელი მანქანა

ამარტივებს ან მოლიანად გამოირიცხავს თეთრეულის შრომის პროცესს.

მოსკოვის ერთ-ერთმა ქარხანამ აითვისა სარეცხი მანქანების წარმოება მექანიკური გაწურვით: იგი იმავე პრინციპზე მუშაობს, როგორც CM-1,5 ტიპის მანქანები. მის შიგნითა კორპუსში არის ალუმინის (ანოდირებული) ავზი 38 ლ ტევადობით, რომელიც გაანგარიშებულია 2 კგ მშრალი თეთრეულის ჩასატვირთად. მასში ჩადგმულია პლასტმასის დისკოანი აქტივატორი, რომელიც ბრუნავს ავზის ქვემოთ ჩარჩოში მოთავსებული ერთფაზი ასინქრონული ელექტროძრავით. გარდა აქტივატორისა, ელექტროძრავას მოძრაობაში მოჰყავს ცენტრალული ტუმბო ნამუშევარი ხსნარის გადასატუმბად და საწური ვალცები. ვალცები შედგება სხმული ალუმინის გასართი კორპუსის, რეზინის ორი ლილვასა და წყვილი კონუსური კბილანისაგან. თეთრეულის გასაწურად ისინი იდგებიან კორპუსის ზედა ნაწილის სპეციალურ ბუდეებში.

მანქანის ასამუშავებლად ელექტროძრავა ჩაირთვება წინა კედელზე მოთავსებული ბერკეტის მეშვეობით

მელიც ჩაირთვება ბერკეტის გაწურვაზე დაყენებით.

მანქანის ელექტროძრავას სიმძლავრე 300 ვატი, ბრუნვის სიჩქარე — 1420 ბრუნი წუთში, აქტივატორის ბრუნვის სიჩქარეა 600 ბრუნი წუთში. მანქანის ზომებია: 420×432×730 მმ. წონა — 45 კგ.

ავტომატიზებულ მანქანებში, რომლებიც უცხოეთში გამოდის, თეთრეულის დასეცემა, რეცხვა, გაფრუება და გაწურვა წარმოებს დიალსახლისი ჩაურევლად. მანქანის მომსახურებას შეადგენს სარეცხი ხსნარის შეყვანა, თეთრეულის ჩატვირთვა და გაწურვის შემდეგ მისი ამოღება.

ავტომატიზებული სარეცხი მანქანის ყველა ოპერაციას მართავს დროის რეულ. მანქანაში წყლის ტემპერატურას კონტროლს უწევს თერმოსტატიკური შემრევი სარქველი და მისი რეგულირება შეიძლება ხელის ამამუშავებლად.

ელექტროსაშრობები. თეთრეულის გაშრობა, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში, მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენს.

ჩვენში ელექტროსაშრობები არ გამოდის. თანამედროვე საშრობი კარადებისა და მანქანების უცხოური

ლილეს, ორივე ხელი კი თავისუფა-
ლო რჩება თეთრეულის გასასწორებ-
ლად.

ბინების დასასუფთავებელი მანქანები

მტვერსასრუტები. ჩვენი მრეწვე-
ლობა უშვებს 12 ტიპის მტვერსას-
რუტს, მათ შორის 4 ხელის და 8
იატაკის ტიპისას. ყველა ტიპის
მტვერსასრუტს აქვს ელექტროძრა-
ვა, რომელიც დიდი სიჩქარით აბრუ-
ნებს პაერის პატარა ტურბინას;
ტურბინა კი წარმოქმნის აუცილე-
ბელ გაუხშობას, რის გამოც მტვე-
რი და წვრილი ნაგავი შეისრუტება
მტვერსასრუტებში.

მტვერსასრუტის ძირითადი და-
ნიშნულობაა მტვერისა და წვრილი
ნაგავის მოცილება იატაკიდან, ნოხი-
დან და აგრეთვე ავეჯეულობისა და
ტანისამისის გაწმენდა. ხელის და
განსაკუთრებით იატაკის მტვერსას-

რუტს ემატება სხვადასხვა დამატე-
ბითი საცმი, რომლებიც მტვერსას-
რუტს აქცევს მრავალგვარი დანიშ-
ნულების უნივერსალურ ხელსაწ-
ყოდ.

**იატაკის საწმენდი ელექტროლი
მანქანა.** Π-2 ტიპის იატაკის საწმენდ
ელექტრულ მანქანას აქვს 350 ვატი
სიმძლავრის ძრავა წუთში 9000
ბრუნით. ჯაგრისი ბრუნავს 800
ბრ/წთ სიჩქარით. მანქანის მწარმო-
ებლობაა 40-50 კვ. მ იატაკი საათში.

უტეხოეთში უშვებენ ბინების და-
სასუფთავებელ კომბინირებულ მან-
ქანებს, რომლებიც აერთიანებს ია-
ტაკის სარეცხი, იატაკის საწმენდი
მანქანებისა და მტვერსასრუტის შე-
საძლებლობებს.

კლემპროსპერაჟი მანქანები

ჩვენი მრეწველობა მრავალი წე-
ლია უშვებს ელექტროამპრავს ნე-
ლისმიერი ხელის ან ფეხის საკერავი

მანქანებისათვის. დამუშავებული და
ათვისებულია პორტატულმა კლემპ-
ტროსაკერავი მანქანების რამდენიმე
ტიპი: „ტულა“, „ვოლგა“, „ხარკოვ-
M4“.


1958 წელს დამუშავდა ფრიად
სრულყოფილი მანქანები — „ხარ-
კოვ-M6“ და „კამა“. ამ მანქანებს
აქვს პირდაპირი და უკუსვლა, შეიძ-
ლება ერთდროულად ორი ნემსით
მუშაობა. სხვადასხვა სამარჯვების
არსებობის გამო შეიძლება სელის,
შაღის და მალდის ქსოვილის გაკერ-
ვა ჩვეულებრივ, ორმაფიანი, პირ-
დაპირი და ზიგზაგისებრი (დეკორა-
ტიული) გვირისტით. „კამაზე“ შე-
იძლება 24 ჰიერაკის შესრულება.

ელექტროსაკერავ მანქანებს მა-
ღალი მწარმოებლობა აქვს. წონით
ჩვეულებრივთან შედარებით მნიშე-
ნელოვნად ნაკლებია და უფრო პატა-
რა აღვილს იჭერს.

ძ რ ა ვ ა „Д-30“

ძრავას აგრეგატების დამზადებისას ფარ-
თოდ იყო გამოყენებული მსუბუქი შენადნო-

ბები, რამაც შეამცირა მისი წონა და გაზა-
რტები.



ძრავა განკუთვნილია თვითმავალი შასისა
და 30-ძალიანი თვლიანი და მუხლუხა ტრაქ-
ტორებისათვის. იგი წარმოადგენს ოთხბაქ-
ტონს, ოთხცილინდრიან, უკომპრესორო დი-
ზელს წინაქამრული ნარევეწარმოქმნით.

ძრავას ნომინალური სიმძლავრეა 30 ცხ. ძ.
160 ბრ/წთ. ღრის (ცილინდრის დიამეტრია
95 მმ. დგუშის სვლა — 120 მმ, კუმშვის ხა-
რისი — 18).

კვების სისტემაში გამოყენებულია მცირე-
გაბარიტული ერთფენიანი სათბობის ტუმ-
ბო ყოველრეჟიმიანი რეგულატორით.

ძრავას ამუშავება ხდება ელექტროტარ-
ტორით. ამუშავების გააღწევისათვის დად-
გებულია ვარგერების სანთლები და დკო-
მპრესორის მექანიზმი.

ძრავას გაგრილება წარმოებს პაერით. პა-
ერსაბერის საშუალებით. ცილინდრები მოსახ-
სნელია, დამზადებულია თუჯისაგან, აქვს
მსუბუქი შენადნობის შეწიბრება.

ყოველ ცილინდრზე დადგმულია ალუმინის
შენადნობისაგან დამზადებული თავი, რომ
მელომე ჩასმულია ფოლადის წინაყამერა და
ვარგერების სანთლის ბუდე, მასში აგრეთვე
ჩაწნეხილია ფოლადის ბუდე სარკველები-
სათვის.

საინჟინრო-შეწარმოების დამუშავების მეთოდები

ინჟინერი რ. გომიზიშვილი

თანამედროვე მანქანების კონსტრუქციებში ფართოდ გამოიყენება სპეციალური ფოლადები, შენადნობები და სხვა მასალები, რომლებიც მაღალი მექანიკური თვისებებით ხასიათდება. ამ მასალების კრით დამუშავება მეტად რთულია, ხშირ შემთხვევაში კი — შეუძლებელიც. ამასთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა ლითონების დამუშავების ახალი მეთოდები: ელექტრონაპერწყლური, ანოდურ-მექანიკური, კიმიურ-მექანიკური და ულტრაბერძნული.

ელექტრონაპერწყლური მეთოდი გამოიყენება მცირე ზომის სხვადასხვა ფორმის ნახვრეტების, ტიფრების, ვიწრო ჰერმეტიკებისა და საცერის ნახვრეტების დასამუშავებლად, აგრეთვე მჭრელი იარაღების ზედაპირული განმტკიცებისათვის და ნახვრეტში ჩატეხილი ბურღის, შიგახრახნის ან ხრახნის ამოსაღებად და სხვ.

დამუშავების ამ მეთოდს საფუძვლად უდევს ელექტრული ეროზია, რაც ელექტრული ნაპერწყლების განმტკიცის ზემოქმედებით ლითონის ზედაპირის რღვევაში მდგომარეობს.

ელექტრონაპერწყლური მეთოდით დამუშავებისას იარაღი და დასამუშავებელი დეტალი ასრულებს ელექტროდების როლს და შეერთებულია დენის წყაროსთან. იარაღის (კათოდის) მიასლოებით დასამუშავებელ დეტალთან (ანოდთან) გარკვეული სიდიდის შუალედზე ელექტრული ველის ზეგავლენით ხდება ამ შუალედის გარღვევა. შუალედში (0,05 მმ სიდიდის, 220 ვოლტი ძაბვისა და 300-400 მიკროფარადის ტევადობის) წარმოიქმნება ელექტრონული შევი, რომელსაც დიდი რაოდენობის ელექტრობა გადააქვს. გარღვევის ზონაში ტემპერატურა აღწევს 10000°C-მდე, რომელზეც დნება ნებისმიერი ლითონი და თხევადი ნაწილაკების სახით გამოიფრქვევა დასამუშავებელი ნამზადის ზედაპირიდან.

ნაპერწყლური განმტკიცის ხანგრძლივობა გარღვევის შუალედში ძალიან მცირეა (0,0001-0,00001 წამი), ამიტომ ლითონის ზედაპირის რღვევა ხდება მეტად უმნიშვნელო შრის (0,02-0,1 მმ) არეში.


იმისათვის, რომ იარაღზე არ მოხდეს დასამუშავებელი ლითონის ზედაპირიდან გამოფრქვეული ლითონის ნაწილაკების შეცხობა, ნაპერწყლურ შუალედს სითხით აცხებენ. ნახვრეტების დამუშავებისას სითხედ იყენებენ ნავთს ან ზეთს, ხოლო სხვის, ალუქსის ან დაყვანის ოპერაციის შემთხვევაში — მარილის ხსნარს, ზეთს,

თხევად მინას. შეიძლება შეკუმშული ჰაერის გამოყენებაც.

ნახვრეტების დამუშავებისას იარაღის მასალად ხმარობენ სპილენძს, თუგს, თითბერსა და სხვ.


ელექტრონაპერწყლური დანადგარის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვეულებრივი ვერტიკალური საბურღი ან სხვა ტიპის ჩარხი.

1-ლ ნახ-ზე მოცემულია საერთო ხედი დანადგარისა, რომელიც განკუთვნილია ელექტრონაპერწყლური მეთოდით ნახვრეტების დასამუშავებლად. დამუშავება მუდმივი დენის გამოყენებით წარმოებს. იარაღი ასრულებს კათოდის როლს და შეერთებულია უარყოფით პოლუსთან, ხოლო დასამუშავებელი ნამზადი — ანოდის როლს და მიერთებულია დიდებით პოლუსთან. დგარის (1) საფუძველზე მოთავსებულია მაგიდა (2) აბაზანით (3). მაგიდაზე (4) მაგრდება დასამუშავებელი ნამზადი. იარაღი სარეგულირებელი თავით (6) მაგრდება შპინდელზე (5). შპინდელისა და მასზე დამაგრებული იარაღის გადაადგილება ჰორიზონტალური მიმართულებით სახელურით (7) წარმოებს. ვერტიკალური მიმართულებით



ნახ. 1

ბით შპინდელიანი თავის (8) ხელით გადაადგილება ხორციელდება სახელოებით (9). ღვარის (10) ვანიე მიმართულებზე სახელოებით (11) წარმოებს სუპორტის (12) და მასთან ერთად მაგიდის გადაადგილება ჰორიზონტალურად.



ნახ. 2

ლური მიმართულებით, დანადგარისა და დამუშავების რეჟიმების მართვა — გადამრთველებით (13), ხოლო შპინდელიანი თავის გადაადგილება ვერტიკალური მიმართულებით — სისტემით (14). მაგიდისა და აბაზანის გადაადგილება ქვევრიდან ზევით და პირიქით ხორციელდება სახელოებით (15). ღვარში მოთავსებულია სელენიანი გამამართველი და კონდენსატორები.

ღვარის საფუძველში დაყენებულია ვენტილატორი. დანადგარის სიმძლავრე შეადგენს 1 კვტს.

დამუშავების ანოდურ-მექანიკური მეთოდი გამოიყენება ნამზადების დასაქრელად, სალი შენადნობებისაგან დამზადებული მჭრელი იარაღების ასაღესად, ხეხისათვის, ტვიფრის დაყვანისათვის და სხვ.

ამ მეთოდით დასამუშავებელ დეტალს აერთებენ დადებით, ხოლო იარაღს — უარყოფით პოლუსთან. იარაღსა და დეტალს შორის შექმნილ ღრეჩოში ატარებენ სითხეს, რომელიც დეტალის ზედაპირზე წარმოქმნის დენის ცუდად გამტარ ფენას. იარაღის გადაადგილებით დასამუშავებელი ზედაპირის უბანზე წარმოებს ფენის მინიშნულოვანი ნაწილის მოხსნა.

თუ ელექტროფრეზში ძაბვა მცირეა, მაშინ მიმდინარეობს ლითონის ელექტროქიმიური (ანოდური) გახსნის პროცესი, ხოლო მაღალი ძაბვისა და დენის ძალის შემთხვევაში გამოიყოფა დიდი რაოდენობით სითბო, რის შედეგად ლითონი დეტალის ზედაპირზე დნება. მაღალი ძაბვის გამოყენებით დამუშავება ელექტროქიმიურ პროცესთან შედარებით ხსიათდება ლითონის ართმევის დიდი სიჩქარით. ანოდურ-მექანიკური მეთოდის გამოყენებისას ლითონის ართმევის სიჩქარე განისაზღვრება ელექტრო და მექანიკური რეჟიმებით. ელექტროლი რეჟიმი ხსიათდება დენის სიმკვრივით ანოდზე და პოტენციალების სხვაობით იარაღსა და დასამუშავებელ დეტალს შორის. მექანიკურ რეჟიმად იგულისხმება დასა-


მუშავებელ ზედაპირზე იარაღის დაწოლის მოძრაობა იარაღის მოძრაობის სიჩქარე. დენის მცირე სიმკვრივესა, როცა ლითონის ართმევა ხდება ანოდური გახსნის შედეგად, მიიღება ზედმიწევნით სუფთა (სარკისებრი) ზედაპირი. დენის სიმკვრივის გადიდებით ძლიერდება ელექტროთერმული (თბური) პროცესი და დამუშავებული ზედაპირი მიიღებს ნათლებად სუფთა, რადგან ზედაპირიდან გამდნარი ლითონის ართმევა წარმოებს მსხვილი ზომის ნაწილაკების სახით.

ლითონების ანოდურ-მექანიკური მეთოდით დამუშავებისას იყენებენ 10-30 ვოლტ ძაბვას. დენის სიმკვრივე დამოკიდებულია, დასამუშავებელი ზედაპირის ზომებსა და დამუშავების სახეობაზე და სპირისების ალესვის შემთხვევაში შეადგენს 1-2 ა/სმ²-ს, ხოლო ნამზადების გადაჭრისას — 300-400 ა/სმ²-ს.

მბრუნავი იარაღის (დისკის) წრიული სიჩქარე იღება 8-20 მ/წთ. ფარგლებში, მთლიანი იარაღების გამოყენებისას სიჩქარე მცირდება 1 მ/წთ-მდე. იარაღის (დისკის) კუთრი დაწოლა დასამუშავებელ ზედაპირზე შეადგენს 0,5-2 კვ/სმ²-ს.

მე-2 ნახ-ზე მოცემულია სქემა ანოდურ-მექანიკური ჩაბნისა, რომელიც განკუთვნილია ნამზადების დასაქრელად. იარაღის როლს ასრულებს დისკო (1), რომელიც დამაგრებულია შპინდელზე (2) და დედულრი გადაცემით (4) ბრუნვით ძრავას იღებს ელექტროძრავიდან (3). დისკო შეერთებულია ელექტროწრავის უარყოფით პოლუსთან, ხოლო ნამზადი (5) — დადებით პოლუსთან. ელექტროძრავა და დისკო გაწინასწარებულია მზრეულით (6). ელექტროძრავა (7) წარმოებს დისკოს მიწოდების ავტომატურ რეგულირებას. ნამზადის ქრის არეს სითხე მიეწოდება მილსადენით (8). ელექტროფრეზში ჩართულია ამპერმეტრი (9) და ვოლტმეტრი (10).

ქიმიურ-მექანიკური მეთოდით ლითონების დამუშავება ხდება ელექტროლიტის ხსნარში მუდმივი დენის გატარებით. ამ შემთხვევაში დასამუშავებელ დეტალზე, რომელიც ანოდის როლს ასრულებს, ელექტროქიმიური ზემოქმედებით წარმოქმნება უხსნადი ფენი. უკანას-



ნახ. 3

კნელის მოხსნა წარმოებს იარაღის — ხეცეის საშუალებით, რომელიც კათოდის როლს ასრულებს.

მე-3 ნახ-ზე მოცემულია სქემა დანადგარისა, რომელიც განკუთვნილია ლითონების ქიმიურ-მექანიკური მეთოდით დამუშავებისათვის.

დასამუშავებელი ნაშაღი (1) მოთავსებულია აბაზანაში (2) და ელექტროძრავიდან იღებს ბრუნვით ძრავას. აბაზანაში მოთავსებული სითხისა და ელექტროდების მოქმედების შედეგად ნაშაღზე წარმოიქმნება ფენი, რომლის მოხსნა წარმოებს ხეცეით (3). უკანასკნელი დამაგრებულია სუბორტზე (4), რომელსაც აქვს განივი და გრძივი გადაადგილების საშუალება. აღწერილი მეთოდი გამოიყენება სალი შენადნობების და სხვა სპეციალური მასალის დასამუშავებლად.

სპეციალური მასალების დამუშავებისათვის გამოიყენება აგრეთვე ულტრაბგერითი რხევები, რომელთა სისწივე აღემატება ადამიანის სმენის ზედა ზღვარს.


ულტრაბგერითი რხევების მისაღებად მიმართავენ მექანიკურ ან ელექტრომექანიკურ გამომსხვიარებს. ასეთ მექანიკურ გამომსხვიარებს მიეკუთვნება სასტეგნები, სირენები და სხვ. ელექტრომექანიკური გამომსხვიარები იყოფა სამ ჯგუფად: ელექტროდინამიკური, მაგნიტო-სტრიქციული და პიეზოელექტრული.

ლითონების ულტრაბგერით დამუშავებისათვის იხმარება მაგნიტოსტრიქციული გამომსხვიარები. მათში გამოიყენებულია ზოგი ლითონებისათვის დამახასიათებელი მაგნიტოსტრიქციული თვისება — მაგნიტური ეფექტის ზემოქმედებით რკინის, კობალტის, ნიკელის და მათი შენადნობების ზომები მცირდება, ხოლო ევლის მოცულობის შემდეგ წარმოებს პირველი ზომების აღდგენა.

ვიბრატორი წარმოქმნის ულტრაბგერითი რხევებს, რომელიც ვიბრატორზე დამაგრებული იარაღის საშუალებით შეიძლება გადაეცეს ნებისმიერ გაერმოს. ულტრაბგერითი ნახვრეტების დამუშავების შემთხვევაში გაერმოს როლს ასრულებს აბრაზიული ფხვნილით გაჯერებული სათხე, რომელიც მიეწოდება იარაღის ტორსული ზედაპირიდან. ულტრაბგერითი სხივების ზემოქმედებით სითხის ნაწილაკები აბრაზიული ფხვნილით ღებულობს ძალიან დიდ აჩქარებას. თუ იარაღის ქვეშ მოთავსებულ დასამუშავებელ დეტალს, დეტალის ზედაპირზე ადგილი ექნება აბრაზიული ნაწილაკების დიდი ძალით დარტყმას. აბრაზიული ნაწილაკების დარტყმის ძალა რამდენიმე ათასჯერ აღემატება ნაწილაკების საკუთარ წონას. ლითონების ასეთი მეთოდით დამუშავების ეფექტურობას ნათლად მოწმობს ის, რომ დამუშავების პროცესში მონაწილეობას ღებულობს აბრაზიული ნაწილაკების დიდი რაოდენობა. ამასთან ერთად

თაღ თითოეული ნაწილაკი ასრულებს 20 000-მდე დარტყმას წამში.

აღწერილი მეთოდი გამოიყენება ყველა მასალების დასამუშავებლად, როგორცაა: სალი შენადნობი, მაგ-




ნახ. 4


ნიტური შენადნობი, ტიტანი, ნაწრთობი ფოლადი, კერამიკა, სინთეზური ქვა, ალმასი და სხვა მინერალი. პლასტიკური მასალები მუშავდება შედარებით ნაკლები ეფექტურობით, ვინაიდან ადგილი აქვს დასამუშავებელ ზედაპირში აბრაზიული ნაწილაკების დანერგვას. იმ აბრაზივის სისაღე, რომლითაც წარმოებს დამუშავება, უნდა იყოს მეტი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ტოლი დასამუშავებელი მასალის სისაღისა. ხშირ შემთხვევაში აბრაზივად იყენებენ კარბორუნდს ან ბორის კორუნდს, ხოლო ალმასის დასამუშავებლად იხმარება ალმასის მტვერი. ულტრაბგერითი შეიძლება დამუშავდეს ნებისმიერი კონფიგურაციის ნახვრეტი.

მე-4 ნახ-ზე მოცემულია ულტრაბგერითი დანადგარის საერთო სქემა. 300 ვატი სიმძლავრის გამძლიერებელი (1) ძლიერებს ბგერითი გენერატორის (2) სიგნალს 0-21000 ჰერცამდე სიხშირის დიაპაზონით. საჭირო სიხშირის გაძლიერებული დენი გადაეცემა ვიბრატორის (3) ალგზების კოქსს. მუდმივი მაგნიტები (4) იკვებება სელენიანი გამპართველებით (5). ვიბრატორზე (3) აღორული რხევები გადაეცემა ტრანსფორმატორს (6). უკანასკნელი ძლიერებს რხევებს და გადასცემს იარაღს (7).



ულტრაბგერითი დანადგარი შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ოპტიკაში, ელექტრომეწვლეობაში, მანქანათმშენებლობაში და სხვ.

ჩანართი მიღწეულია ბ. დანილინის სტატიისაში — „კოსმოსური ერის დასაწყისი“.








I



II



ნიტზე აუზლიბეზს ლითონს

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ბევრი რამ გაკეთდეს ლითონთა დამუშავების სხვადასხვა ხერხის საბუღალტრო საქმეში. ფართო გავრცელებას პოუვებს ახალი პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, მათ შორის მაღალი წნევის სითხით ლითონთა გამოწვევა. ამ ხერხს მნიშვნელოვანი უპირატესობანი აქვს პუანსონით ლითონთა ფართოდ გავრცელებულ დაწეხასთან შედარებით. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ დასამუშავებელი ლითონი, მოთავსებული კონტეინერში, პუანსონის მეშვეობით წაიბიძგება მატრიცის სათვალვეებში. ლითონის დაწევის ანალოგიური მოვლენა მოხდება იმ შემთხვევაში, როცა ხისტი პუანსონი შეიცვლება სითხით, რომელიც წნევის წყალობით იმყოფება.

რა უპირატესობა უნდა მოგვეცეს ამ შეცვლამ? მოყვება, თუ არა მის თვისობრივად ახალი შედეგები? როგორც ჩანს, მოყვება. ყოველ შემთხვევაში, ასე პასუხობენ ამ კითხვაზე ფიზიკოსები, რომლებიც სწავლობენ ლითონთა ქცევას მაღალი ჰიდროსტატიკური წნევის დროს.

მრავალი ქვეყნის სწავლულთა მიერ დაგროვილი გამოცდილება იმის შესახებ მეტყველებს, რომ ასეთ პირობებში დამუშავებული მასალები სულ სხვაგვარად იქცევა, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. მაგალითად, მნიშვნელოვნად იცვლება ლითონთა მექანიკური თვისებები. თუ ნიმუშზე, რომელიც გარემოცულია რამდენიმე ათასი ატმოსფეროს წნევის ქვეშ მყოფი სითხით, მიყენებულია გაუმჯობესებული დატვირთვა, მაშინ მას აღმოაჩნდება უცნაური თვისება: რამდენიმეჯერ ღილდება მისი პლასტიკურობა, მნიშვნელოვნად იზრდება სიმტკიცე. სწორედ ამ ცდებმა წარმოშვა აზრი ლითონთა გამოწვევის შესახებ მაღალი წნევის სითხით. ამგვარად მიღებული ნაკეთობა კი შეიძლება დამზადდეს ლითონებისაგან, რომლებიც ირღევა სხვა ხერხებით დამუშავებისას, ხოლო მათი მექანიკური თვისებები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

პირველად ასეთი იდეა დაებადა ცნობილ ამერიკელ ფიზიკოსს პ. ბრიჯმენს. მაგრამ მის მიერ ჩატარებული ცდები წარუმატებელი იყო: მატრიცის სათვალვეებიდან გამოსული ლითონი ირღევდა.

რამდენიმე წლის წინათ ამ საკითხზე მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალ წნევაზე ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა. დაგეგმარებულია დანადგარი, რომლის მეშვეობითაც მოხერხდა ზემოთ აღნიშნული ვარაუდის დამტკიცება. ამ დანადგარზე ჩატარებულმა გამოცდებებმა გამოავლინა აგრეთვე ახალი საინტერესო მონაცემები. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია პროცესის დიდი ეკონომიურობა. აქ მნიშვნელოვნად მცირდება ენერგიის დანაჯარგები ხაზუნის ძალთა მოქმედების გადასალახავად, რადგან დასამუშავებელი ლითონი

გარემოცულია სითხის შრით. ასე, თუ ალუმინის ფორმის შესაცვლელად პუანსონიან დანადგარზე საჭიროა 18 ტ ძალის მიყენება მისი ფართობის კვ. სმ-ზე, მაშინ სითხით დამუშავების დროს იმავე მიზნისათვის საჭიროა მასში შეიქმნას წნევა მხოლოდ 4,5 ტ კვ. სმ-ზე. ამის გამო ლითონთა გამოწვევის პროცესი შეიძლება ჩატარდეს ცივ მდგომარეობაში, მაშინ როცა დაწეხისას საჭიროა ლითონის გახურება.

სითხის ფესვი ნაკეთობაზე განაბირობებს სხვა მნიშვნელოვან უპირატესობასაც: იგი არა მარტო იცავს ლითონის ზედაპირულ შრეებს დარღვევისაგან, არამედ ხელს უწყობს ფორმის თანაბარზომიერ ცვლილებას, შესაძლებლობას ქმნის მიღებულ იქნეს ნაკეთობა მაღალი სისუფთავის ზედაპირით, იცავს სამუშაო ხელსაწყოს — მატრიცას — გაცეცხისაგან.

მნიშვნელოვნად მარტივდება დანადგარის კონსტრუქციაც. ამ შემთხვევაში საჭირო არაა ძვირადღირებული გეგმებრივად უნიკალური წნეხები, რომლებზეც მუშაობას ამასთან პერიოდული ხასიათი აქვს. დაწეხის მეთოდი აკი საშუალებას იძლევა დამუშავდეს მხოლოდ პატარა სიგრძის ნაშაბდები და საჭირო ხდება გამოწვევის საშუალო პროცესის შეწყვეტა კონფეიერში ახალი ნაშადის მოსათავსებლად. ახალი მეთოდი თავისუფალია ამ ნაკლოვანებებისაგან. მაღალი წნევის სითხე ამ შემთხვევაში „გამომუშავდება“ ჰიდროკომპრესორით, რომელიც შექმნილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალ წნევათა ფიზიკის ინსტიტუტის მიერ და ათთვისა მრეწველობამ. ლითონის დაყალიბება წარმოებს მარტივი კონსტრუქციის

ჩანართზე წერია: I—პუანსონით ლითონის დაწეხის სქემა (A—დასამუშავებელი ლითონი, B—მატრიცა, B—პუანსონი). II—მაღალი წნევის სითხით ლითონის გამოწვევის სქემა (I—სითხე).
ცენტრში: დანადგარის საერთო ხედი სითხით ლითონის გამოწვევისათვის: 1—საცმე, 2—ჰიდრავლიკური კომპრესორი, 3—რეზინური, რომლის გავლითაც სითხე დიდ წნევის ქვეშ საცმს მიედრება.
ქვემოთ: სხვადასხვა ფორმის დეტალები, რომლებიც მიღებულია ლითონის დამუშავების ახალი ხერხით



კონვეიერით. სიგრძე მიღებული ნაკეთობებისა, რომელთაც შეუძლია ნებისმიერი ფორმა ჰქონდეს, შეზღუდული არაა გამოწვევის ამ ხერხით.


რამდენიმე სიტყვა რესიერის როლის შესახებ მაღალი წნევის სითხით ლითონთა დამუშავების პროცესში. დადგენილ იქნა, რომ პრო-

ცესის დასაწყისში წნევა კონვეიერში მნიშვნელოვნად აღმატება იმ წნევას, რომელიც აუცილებელია ლითონის გამოდენის განხორციელებისათვის დამყარებული პროცესის დროს. ამან წარმოშვა აზრი კონვეიერსა და პიდროკომპრესორს შორის მოთავსებულყო საშუალებო აპარატი — რესიერი, რომელშიც მოხდებოდა მაღალი წნევამდე შეკუმშული

სითხის დაგროვება. რესიერის გამოყენება მულირებული ენერგია საშუალებას იძლევა პროცესი ვაწარმოოთ მეტად მაღალ სიჩქარეებზე — წაში რამდენიმე ასეულ მეტრამდე.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ლითონთა დამუშავების ახალი მეთოდი ჩავთვალოთ მეტად პერსპექტიულად და ეკონომიურად.

ქ რ ა ვ ა B II-7 6 0



მცირელიტრაჟინი საავიაციო ძრავა BII-760 განკუთვნილია სასაფლაო-საწვრთნელი და სპორტული მოტოპლანერებისათვის. მისი გამოყენება აგრეთვე შეიძლება მსუბუქი ერთადგილიან შევლუმფრენზე, ნახევარჯლისისა და აერომარხილზე.

ძრავა BII-760 ხუთცილინდრიანი ვარსკვლავისებრი მკვეთარ-ხერვლიანი აირკამანაწილებლით, საჭრევი ტუმოს გარეშე.

აღრენისას ძრავის სიმძლავრეა 25 ცხ. ძ. ხოლო ნომინალური — 22 ცხ. ძ (შესაბამისად ბრუნთა რიცხვი წუთში — 2400 და 2300).

ცილინდრები განლაგებულია ერთ სიბრტყეში. გაგრილება ხდება ჰაერით, რისთვისაც ცილინდრის გარეთა ნაწილს აქვს შეწოლა.

ძრავას კუმშვის ხარისხია 8.

სათბობად იხმარება საავიაციო ბენზინი „B95“.

შეზღუდვა ხდება ძრავას კვების სისტემიდან, ამიტომ ბენზინს უმატებენ 5%-მდე „MK“ ზეთს.

ძრავას გაშვება ხდება ხელით, ბაკირვეარლის საშუალებით.

ძრავას ლაბორატორიულმა და საფრენმა გამოცდამ დადებითი შედეგები აჩვენა. საფრენი გამოცდა ჩატარებული იყო MAK-15MP მოტოპლანერზე, რამაც ცხადყო ამინდის ყოველგვარი პირობებში მისი ანაბელო მუშაობა.

მეცნიერული მოზაიკა

მ. ჩალაწილი

ვირუსული ავადმყოფობანი უძველესი დროიდანაა ცნობილი. მათი გამომწვევი ინფექციური საწყისი — ვირუსი კი მხოლოდ გასული საუკუნის დამლევს აღმოაჩინა ცნობილმა რუსმა ბოტანიკოსმა დ. ივანოვსკიმ. ამ აღმოჩენის მოკლე ისტორია ასეთია: თამბაქოს ავადმყოფობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მავნე დაავადება მოზაიკაა, რომელიც ფოთლების ძლიერ დეფორმაციას და აქრელებას — მოზაიკას იწვევს (ნახ. 1). აქედანაა მისი სახელწოდებაც. აღნიშნული ავადმყოფობის შესწავლისას ივანოვსკიმ პირველმა შენიშნა, რომ მოზაიკური თამბაქოს ფოთლების წვენი საღი მცენარეების დაავადებას იწვევს და ამ თვისებას მაშინაც ინარჩუნებს, როცა ის გატარდება წვრილფოთიან ფილტრში. ბაქტერიულ ფილტრში გამავალ ინფექციურ საწყისს ფილტრადი ვირუსი უწოდეს. ამ თვალით უხილავი ინფექციური საწყისის აღმოჩენით, რომლის შესწავლა მიკრობიოლოგიური მეთოდებით შეუძლებელი გახდა, ივანოვსკიმ დასაბამი მისცა მეცნიერების ახალი დარგის — ვირუსოლოგიის განვითარებას. ივანოვსკის აღმოჩენიდან რამდენიმე წლის შემდეგ ამერიკელმა გეკლეერმა სტენლიმ მოზაიკური თამბაქოს ფოთლებიდან გამოყო კრისტალური სახის ცილა, რომელიც თამბაქოს მოზაიკის ვირუსის თვისებისა აღმოჩნდა. ამით საფუძველი ჩაეყარა ვირუსის ქიმიური შედგენილობისა და ფიზიკური სტრუქტურის შესწავლას და თამბაქოს მოზაიკის ვირუსი ვირუსოლოგიური კვლევის კლასიკურ ობიექტად იქცა. შეიძლება ითქვას, რომ ყველა დიდი აღმოჩენა ვირუსოლოგიის დარგში თამბაქოს მოზაიკის ვირუსთანაა დაკავშირებული.

უკვე ლაღვენილად ითვლება, რომ თამბაქოს მოზაიკის ვირუსი ბიოქიმიურად წარმოადგენს რთულ ცილას — ნუკლეოპროტეიდს, რომელიც ორი ძირითადი კომპონენტისაგან: ცილისა (94%) და ნუკლეინის მჟავასაგან (6%) შედგება. ტიუბინგენში, ცნობილი გერმანელი ვირუსოლოგ შრამის ლაბორატორიაში, შეძლეს სხვადასხვა ქიმიური და ფიზიკური მეთოდების გამოყენებით ვირუსის დაშლა შემადგენელ ნაწილებად. ელექტრონულ მიკროსკოპში ვირუსის დაშლის პროდუქტების შესწავლისას გამოირკვა, რომ თამ-

ბარსი, თავის მხრივ, შემდგარია ცალკეული დისკოებისაგან, რომლებიც ნუკლეინის მჟავას ძაღზე მძივებით არის ასხმული და მის დამცველ ბუდეებს ქმნის (ნახ. 2 ბ). ამ ცილინდრული გარსის სიგრძე 300, სიგანე კი 15-18 მილიმიკრონს აღწევს. ცხადია, ასეთი უაღრესად მცირე ზომის გამო თამბაქოს მოზაიკის ვირუსის დანახვა მხოლოდ ელექტრონულ მიკროსკოპშია შესაძლებელი (ნახ. 3). აღსანიშნავია, რომ თამბაქოს მოზაიკის ვირუსი პირველი ვირუსია, რომელიც ელექტრონულ მიკროსკოპში იყო შესწავლილი.




ნახ. 1. მოზაიკით დაავადებული თამბაქოს ფოთლები

ბაქოს მოზაიკის ვირუსის ცილოვანი ნაწილი ქმნის ცილინდრულ გარსს, რომლის შიგნითაც ნუკლეინის მჟავას ძაფია მოთავსებული (ნახ. 2 ა). ამგვარად, თამბაქოს მოზაიკის ვირუსი თავისი აღნაგობით დაახლოებით ფანქარს მოგვაგონებს. შრამის გამოკვლევებით ვირუსის ცილოვანი

როგორც ცნობილია, ცილოვანი ნივთიერება რთული მაღალმოლეკულური ნაერთია, რომელიც ამინომჟავებისაგანაა შემდგარი. ცილის მოლეკულაში ამინომჟავები დაკავშირებულია მჟავამიდური ($-CO-NH-$) კავშირით და პეპტიდურ ჯაჭვებს ქმნის. ცილოვანი ნივთიერებათა

მრავალი წარმომადგენლის ურთი-
ერთიანსხვავება დამოკიდებულია მის
მოლეკულაში შემავალი ამინომჟე-
ვების რაოდენობასა და მათ განაწი-
ლებაზე. უკანასკნელი წლების გა-
მოკვლევებით ვირუსოვანი ცილა 150



ნახ. 2. ქიმიურ ნივთიერებათა ზემოქმე-
დებით დაზოლი თამბაქოს მოზაიკის ვირუსი.
ა—ვირუსის ცილოვანი გარსი და მისი
შეგნით მოთავსებული ნუკლეინის მჟავას ძა-
ფი. ბ—ცალკეული დისკოები, რომლებიც
ცილოვან გარსს ქმნიან

ამინომჟავასაგან შემდგარ 2300 პეპ-
ტიდური ჯაჭვისაგანაა აგებული. თი-
თოეული ამ პეპტიდური ჯაჭვის მო-
ლეკულური წონაა 17000-18000,
თვით თამბაქოს მოზაიკის ვირუსის
მოლეკულური წონა კი, რომელიც
2300 ასეთი პეპტიდური ჯაჭვისაგანაა
აგებული, — 50×10^6 . ეს გიგანტური
ცილა 14000 უფუძე და 45000 მჟავე
ჯგუფს შეიცავს.

თამბაქოს მოზაიკის ვირუსზე სხვა-
დასხვა ქიმიური ნაერთების ზემოქ-
მედებით შესაძლებელი გახდა ვირუს-
ის ცილოვანი კომპონენტისაგან მი-
სი მეორე კომპონენტის—ნუკლეინის
მჟავას ჩამოშორება. ამ ორიოდ
წლის წინათ კემბრიჯის უნივერსი-
ტეტის პროფესორს ა. ტოდს ნობე-
ლის პრემია მიენიჭა ამ ნაერთების
სინთეზის გზით მიღებისა და მათი
სტრუქტურის დადგენისათვის. გა-
მოირკვა, რომ ნუკლეინის მჟავას
რითული მოლეკულა აგებულია ცალ-
კეული ნუკლეოტიდებისაგან, რომ-
ლებიც ერთიმეორისთან ფოსფორის
მჟავას ნაშთითაა დაკავშირებული.
ამგვარად, ნუკლეინის მჟავეები რითუ-
ლი ნაერთებია — პოლინუკლეოტი-
დებია. უკანასკნელ წლებში გამოქ-
ვეყნებული შრომებიდან ირკვევა,
რომ ნუკლეინის მჟავეების ბიოლოგი-
ური ფუნქცია ორგანიზმში დაკავში-
რებულია ზრდის, გამრავლების, მემ-

კვიდრებობითობის და ცილის სინთე-
ზის პროცესებთან. ამით ახსნება ამ
ნაერთებით გამოწვეული განსაკუთ-
რებული ინტერესი. ყველა ვირუსი
ული (ფიტოპათოგენური) ცილის
და მათ შორის თამბაქოს მოზაიკის
ვირუსის შედგენილობაში მხოლოდ
ერთი ნუკლეინის მჟავა — რიბო-
ნუკლეინის მჟავა შედის. ცნობილი
ვირუსოლოგის მარკჰამის გამოკვლე-
ვებით, სხვადასხვა ვირუსები ერთი-
მეორისაგან ნუკლეინის მჟავას შეყ-
ლოდღობით შედგენილობით გან-
სხვავდება. ეს სხვაობა იმდენად დი-
დაა, რომ, მარკჰამის აზრით, დიფ-
ფერენცირება ნიშნადაც კი შეიძლება
ჩაითვალოს. მე-4 ნახ-ზე მოცემულია
სხვადასხვა ვირუსების რიბონუკლე-
ინის მჟავას ნუკლეოტიდური შედე-
ნილობა მარკჰამის მიხედვით. სეკ-
ტორები გამოხატავს სხვადასხვა ნუკ-
ლეოტიდებს, თვითონ წრეები კი —
თანმიმდევრობით კარტოზილის,
თამბაქოს და ტურნეფის მოზაიკის
ვირუსის რიბონუკლეინის მჟავას.
სხვადასხვა ვირუსები ერთიმეორისა-
გან მკვეთრად განსხვავდება ნუკლე-
ინის მჟავას ნუკლეოტიდური შედე-
ნილობით.

თამბაქოს მოზაიკის ვირუსზე ჩა-
ტარებული ბიოქიმიური გამოკვლე-
ვებიდან ამ უკანასკნელ წლებში გან-
საკუთრებით დიდი გამოხმაურება
პოვა კალიფორნიის უნივერსიტეტის
ვირუსოლოგიურ ლაბორატორიაში
წარმოებულმა ცდებმა.

როგორც აღინიშნა, ვირუსზე სხვა-
დასხვა ქიმიური ნივთიერების ზემო-
ქმედებით შეიძლება მისი ორი ძირი-
თადი შემადგენელი კომპონენტის —
ცილისა და ნუკლეინის მჟავას და-
შორება. ეს ორი კომპონენტი ცალ-
კელე ინფექციურობას არ ამცდო-
ნებს. ფრენკელ-კონრატმა და ელი-
ამსმა თამბაქოს მოზაიკის ვირუსზე
ნატრიუმის დოდეცილ-სულფატის
1%-იანი ხსნარის ზემოქმედებით
შემქმნა ვირუსის ამ ორი ძირითადი
ნახევრის ერთიმეორისაგან დაშორე-
ბა, შემდეგ ხელოვნურ პარიზებ-
ში მათი ხელახალი დაკავშირება
და ამ გზით თამბაქოს მოზაიკის ვი-

რუსის ბიოლოგიური აქტიურობის.
მისი ინფექციურობის ხელახალი აღ-
დგენა. ასე რომ, თუ ცილა და ნუკ-
ლეინის მჟავა ერთიმეორისაგან გა-
თიშვის შემდეგ ინფექციურობას
კარგავს, მათი ხელოვნური დაკავში-
რების გზით მიღებული ნუკლეოპრო-
ტეიდი ინფექციურობას აღიადგენს.
ამგვარად, ფრენკელ-კონრატმა და
ელიამსმა შეძლეს ექსპერიმენტული
გზით აქტიური თამბაქოს მოზაიკის
ვირუსის მიღება მათი დაშლის პრო-
დუქტებიდან. ეს პირველი გამარჯვე-
ბაა ამ მიმართულებით ჩატარებული
მრავალრიცხოვანი ცდებიდან.

შემდეგში ამ მკვლევარებმა თამ-
ბაქოს მოზაიკის ვირუსის პრეპარა-
ტიდან ინფექციური რიბონუკლეინის
მჟავა გამოყვეს. ასეთი შედეგები
მათგან დამოუკიდებლად მიღებული
იყო შრამის ლაბორატორიაშიც. ამ-
გვარად, აღმოჩნდა, რომ ცილისაგან
იზოლირებული ნუკლეინის მჟავა
თამბაქოს ფოთოლში შეყვანისას იწ-
ვევს ტიპურ ვირუსოვან დაავადებას
და თამბაქოს მოზაიკის ვირუსის სინ-
თეზს. ფოთოლში თამბაქოს მოზაი-
კის ვირუსის შეყვანით თუ მხოლოდ
ვირუსის პრეპარატიდან გამოყოფილ
ნუკლეინის მჟავას, მაინც ერთსა და
იმევე ვირუსოვან დაავადებას მივი-
ღებთ. აქედან მკვლევარები იმ დას-



ნახ. 3. თამბაქოს მოზაიკის ვირუსი ელექ-
ტრონულ მიკროსკოპში

კვნამდ მიდიან, რომ ნუკლეინის
მჟავა არის ვირუსის ინფექციური
თვისების მატარებელი. რაც შეეხება
ცილოვან გარსს, ის უნდა ასე უთუბე-
დეს ნუკლეინის მჟავას დამცველ

ფუნქციის, რომლის გარეშეც ვირუსის გავრცელება ბუნებრივ პირობებში ალბათ შეუძლებელი იქნებოდა.

ლა სხვა ცოცხალი არსება, თამბაქოს მოზაიკის ვირუსიც მრავლდება. ცნობილია, რომ მიკროორგანიზმები

ვირუსის გამრავლება, მისი გავრცელება ნობის ზრდა? ამ საკითხის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი თვლის, რომ ვირუსები მიკრობების მსგავსად დაყოფის გზით მრავლდება. სხვების აზრით, უჯრედებში უნდა არსებობდეს ვირუსის წინამორბედი ცილები, რომლებიც შექრილი ვირუსის ზემოქმედებით ვირუსოვან ცილებად გარდაიქმნება. ბოლოს, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ვირუსის გამრავლება ცილის ისეთი სახეშეცვლილი სინთეზური პროცესით, როცა ნორმალური ცილების ნაცვლად ვირუსოვანი ცილა წარმოიქმნება. ეს უკანასკნელი შეხედულება ბოლო დროს სულ უფრო და უფრო მეტ ექსპერიმენტულ დასაბუთებას პოულობს. ვირუსის გამრავლებისა და ბევრი სხვა ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხის საბოლოო დადგენაში თამბაქოს მოზაიკის ვირუსი კლავ დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარებს.



ნახ. 4. ნუკლეოტიდების შემცველობა სხვადასხვა ვირუსების რიბონუკლეინის მეფაში

თამბაქოს მოზაიკის ვირუსი ქიმიური შედგენილობით, ზომით, მოლეკულური წონითა და მთელი რიგი სხვა ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უჯრედის ცილების მსგავსია. ამის გამო მკვლევართა ნაწილი მას ნივთიერებად თვლის. მაგრამ ნივთიერების დამახასიათებელ თვისებებთან ერთად ის ძირითად სასიცოცხლო თვისებასაც ავლენს. ისე როგორც ყვე-

ხელოვნურ საკვებ არეებზე კარგად მრავლდებიან. ვირუსის აღმოჩენის დღიდან მრავალი მკვლევარი ცდილობდა მიკრობების მსგავსად მის ხელოვნურ საკვებ არეებზე გამრავლებას, მაგრამ უშედეგოდ. დღესათვის უკვე დადგენილია, რომ მიკროორგანიზმებისაგან განსხვავებით ვირუსები მხოლოდ ცოცხალ უჯრედებში მრავლდება. როგორ ხდება

სწრაფი და სითბური

ნეიტრონების გაღასატანი

რადიომეტრი PH-4


გაღასატანი რადიომეტრი დანიშნულია სწრაფი და სითბური ნეიტრონების ნაკადთა გასაზომად.

ხელსაწყო შესაძლებლობას იძლევა განსაზღვროთ სწრაფი (0.5-დან 14 მეგაელექტრონ-ვოლტამდე ენერგიებით) და სითბური ნეიტრონების ნაკადთა ინტენსივობა. იგი აღჭურვილია B, T-1 და T-2 ტიპის სამი საცვლელი დეტექტორით. სწრაფი ნეიტრონები გარეთა გამაფონის დროს 200 მკრ/წამში რეგისტრირდება B დეტექტორით 0.3% ეფექტურობით, ხოლო სითბური ნეიტრონები — T-1 დეტექტორით 0.3 და T-2-ით — 0.02% ეფექტურობით. გარეთა გამაფონი 200 მკრ/წამში ხელსაწყის ჩვენებას ცვლის არაუმეტეს 10%-სა.

ნორმალურ პირობებში გაზომვის ცდომილება ნომინალური სკალიდან არაუმეტეს $\pm 25\%$ -სა. ხელსაწყის კვება წარმოებს 1KC-Y-3

ტიპის ელემენტებიდან ან 50 ჰერცი სიხშირისა და 110, 127 ან 220 ვოლტი ძაბვის მქონე ცვლადი ღენის ქსელიდან. 1KC-Y-3 ტიპის 6 ელემენტისაგან შემდგარი კომპლექტი უზრუნველყოფს ხელსაწყის განუწყვეტელ მუშაობას 40 საათის განმავლობაში. ხელსაწყო შრომისუნარიანია — 20-დან + 40°C-მდე ტემპერატურის დიაპაზონში. 1°C-ზე ტემპერატურის ცვლილებისას ჩვენება იცვლება $\pm 1\%$.

ხელსაწყის გაზომვების 192×276×110 მმ. წონა ბატარიის კვეთით 6.3, ხოლო ქსელის კვებით — 6.1 კგ-ია.






ჩემოსლოვაკია

ველომოტოსიკლი „ჩაპა“

სახალხო საწარმო „ივლიავა“ სერიულად წარმოებისათვის მოამზადა ახალი ველომოტოსიკლი „ჩაპა“. ამ მანქანის ორბეტანი ძრავა ბენზინით მომუშავე, ერთცილინდრიანი. იგი ჰორიზონტალურადაა განლაგებული და აქვს პავილის გაგრილება. ცილინდრის მუშა მოცულობაა 50 კუბური სმ, კუმშვის ხარისხი — 7,5, მაქსიმალური სიმაღლე — 1,5 ცხ. ძ 4500 ბრ/წთ. დროს.



ძრავას მუდმივად შეუძლია მაქსიმალურ სიმაღლეზე მუშაობა. მუშა ნარეგს აწვადის კარბურატორი „ილიავა-2012“ შეწვივის მაუხრით და პავილის ფილტრით.

აუცილებლობის შემთხვევაში ველომოტოსიკლის აძერა შეიძლება განზოგადოდეს სატერფულთით, რისთვისაც უნაჭირო არაა დიდი ფიზიკური ძალა. ძრავას ამუშავება წარმოებს სატერფულზე წინ ფეხის დაჭერით.

კარბურატორის მართვა წარმოებს სახელობის მეშვეობით საკის მარცხენა მხარეს, ხოლო წინა მუხრუჭისა — ბერკეტის მეშვეობით საკის მარცხენა მხარეს; უნაჭირო სატერფულთით, რისთვისაც უნაჭირო არაა დიდი ფიზიკური ძალა. ძრავას ამუშავება წარმოებს სატერფულზე წინ ფეხის დაჭერით.

ველომოტოსიკლის გაბარიტული ზომებია: სიგრძე — 1850 მმ, სიგანე — 590 მმ, სიმაღლე — 1010 მმ, საჯარო ღრეჩო — 140 მმ, ბაზა — 1210 მმ. მისი წონაა 42 კგ.

ველომოტოსიკლის მაქსიმალური სიჩქარეა სწორ სავალი 45 კმ, ბენზინის ხარჯი საათში 30 კმ სიჩქარისას — 1,4 ლ 100 კმ გადასარბენზე, 40 კმ/საათი სიჩქარისას — 1,8 ლ 100 კმ-ზე.

ქალაქის გასვლა

შეიძლება თუ არა ჩვეულებრივი აპარო-სის ქალაქი ვახლოვით რამდენიმე ფურცლად? თურმე, ეს შესაძლებელია.

ქალაქის ფურცლის გახსნის მეთოდი ას წელზე მეტია რაც ცნობილია, მაგრამ ეს პროცესი მტკიცედ ხანგრძლივად და შრომატევად იყო. ამას წინათ პრადის ბიბლიოთეკის სარესტავრაციო სახელოსნოს თანამშრომელმა ლადისლავ სედლევკიმ მნიშვნელოვნად გააძლიერა ეს სერია. ამის გაკეთება მოხერხდა პოლიამიდებისა და წყლის გამოყენებით. ახალი მეთოდი გამოიყენება, რაშიც გახანგრძლივდეს იმეტიანი ხელნაწერების, უძველესი ნაბეჭდი მასალების, მნიშვნელოვანი დოკუმენტების შენახვა, რომელიც ტექსტზე ავსებს ფურცლის ორივე მხარეს. ფურცლის ორად გახსნის შემდეგ სპეციალური კიმიური ნივთიერებებით წარმოებს სუფთა მხარის განტოვება.


გულის ზეგზოვს მარცხენა ნაწილი

ქ. სტარა ტურას (სლოვაკია) „ზუსტი მექანიკის“ ქარხანამ დაიწყო გულის ტუმბუების სერიული წარმოება. ეს აპარატი ქირურგიული ოპერაციის დროს ცვლის ადამიანის გულის მუშაობას. მისი კონსტრუქტორია სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებაში ლაბორატორიის ინჟინერი ი. ვულფი. ახალი აპარატი აქამდე გამოყენებული ზელსაწყობისაგან განსხვავებით უფრო მეტად იცავს სისხლის თავისუფალ ბუნებრივ მუშაობას დაზიანებისაგან. მისი კონსტრუქცია შედარებით მარტივია და დაფუძნებულია მეგზარინით ტუმბოს პრინციპზე, რომელიც ამ მიზნისათვის უკეთეს არ ყოფილა გამოყენებული არსად.

გერმანია

პულვარიზატორი „ჩაპაიონი“

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გასაყიდად გამოვიდა „ჩაპაიონის“ მარკის ახალი ელექტრული პულვერიზატორი, რომელიც



მედიცინის უკომპლექსოდ მუშაობის მიზნით აქვს მარყუანი ნაწილები. იგი მომართულია მოდის ელექტრომანქანით, რომელსაც აქვს ვიბრაციული ლუზა. პულვერიზატორი შეიძლება დაკარგოს მოსახმარია. მტკიცედ ევქეტური და კარგი მოსახმარია. ჰაერის ძალა ისე რეგულირდება, რომ პულვერიზატორით შეიძლება საღებავის, ლქის და აგრეთვე საღებავი ფერის ხსნარის გაფრქვევა.

დახმარება სპორტსმენებს

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აგებულია სპეციალური ავტომობილი, რომელიც განკუთვნილია ტენისური დახმარების გასაწევად მეგობრობის დემოკრატიული მშრომელთათვის შეჯიბრების მომ.



ზადებისა და ჩატარების პერიოდში.

ავტომობილი შექმნილია გდრ-ში ცნობილი სატერფული ავტომობილის „გარანტ 30K“-ის შავის ბაზაზე, რომელსაც უფროსი ციფრის სახალხო საწარმო „საავტომობილო ქარხანა რობური“. ავტომობილის სპეციალური ძარაში მოხერხებულია თავსდება დაზიანების, ხელსაწყოზე, საკონტროლო-სადიდლო სტენდი ელექტრომომწოდლობათა შესაძლებლობა, სადგური აკუმულატორების დასამუხტავად და ა. შ. უნივერსალური საკონტროლო-სადიდლო სტენდს აქვს ამჟამად ცვლიად დანის კონსტრუქციული ელექტრომობილი.

ბოლონეთი

სპორტული მოტოსიკლი „უნაჰ-მონ“

შვეიცარიის მოტოსიკლის ქარხანამ გამოუშვა ახალი სპორტულ-ტურისტული 550 კუბური სმ-მდე კლასის მოტოსიკლი, რომელსაც, როგორც პოლიმერული სპეციალისტები აღნიშნავენ, აქვს მეტად კარგი დინამიკური და ექსპლუატაციური თვისებები.

მოტოსიკლზე დადგმულია ძრავა ზედა-სარკველიანი აირგანაწილებით, რომელიც

კარგად ეტევა ორმილიანი ჩარჩოს საერთო კონსტრუქციის მიხედვით. მისი სიმაღლეა 17 ცხ. მ წუთში 5700 ბრუნის დროს. ანთება ხორცი-



ელდება პოლონური წარმოების მანქანით, კარბურატორიც აგრეთვე პოლონურია („იკოა“).


მგერბი მომენტის გადაცემა ძრავაღან ხორციელდება პირველადი ქაჭურის გადაცემის მეშვეობით და გადაცემათა ოთხსაფეხურიანი კოლოფით.

მოტოციკლის წინა ჩანგალი ტელესკოპურია. უკანა თვლის დაკიდება ხორციელდება მოქანავი ბერკეტებით. საბურავების ზომებია 3,50x19. მოტოციკლის საერთო წონა 160 კგ.

მოტოციკლი „უნიკ-მო7“ გასინერნისათვის რეგულირებისას, კადავგარეთ მოგზაურობისას და ა. შ. 100 კმ გადახარბუნენ ხარკავს 3,5 ლ საწვავს, ხოლო სპორტული გამოსვლებისათვის რეგულირებისას — 4,5 ლ-მდე. მისი მაქსიმალური სიჩქარეა 115 კმ საათში.

სტრუქტურული სავაჭრო მანქანა

ლიუბლინის სატვირთო ავტომობილების ქარხანამ დაიწყო 1 ტონა ტვირთაწყოების მქონე სტრუქტურული სატვირთო ავტომობილების გამოშვება. ავტომობილი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „იუკა“, დაპროექტებულია სქემით „კაბინა ძრავაზე“. მას აქვს



მთლიანლითონიანი კაბინა და ორიგინალური კონსტრუქციის ძარა: კაბინის საერთო შეთანწყობა პლატფორმისთან შესრულებულია

„პიკაპის“ ტიპის მშენებით. უზრადგბას იქცევის სატვირთო პლატფორმის დაბალი განლაგება.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა

პირველი საგაგლო ავტომობილი

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწვეს სამშულო კონსტრუქციის მსუბუქი ავტომობილების წარმოება. პირველი ავტომობილის გამოშვება, როგორც სურათი-



დან ჩანს, ვიეტნამის მშრომელთა მსუბუქი მოწონება დაიმსახურა. ვიეტნამში ფრანგების კოლონიური ბატონობის დროს ხომ საკუთარ, ნაციონალურ საავტომობილო მრეწველობის შესახებ ლაპარაკზე ზედმეტი იყო. ახლა კი განთავისუფლებულ მიწაზე, რომელიც რამდენიმე წლის წინათ სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზს წარმოადგენდა, იქმნება სულ ახალი და ახალი სამრეწველო საწარმოები.

პირველმა ვიეტნამურმა მსუბუქმა ავტომობილმა მიიღო სახელწოდება „ტრომფი“. თავისი კონსტრუქციით მას ბევრი რამ საერთო აქვს საბჭოთა ავტომობილთან „ვოლგა“. „ტრომფი“ დადგმულია ძრავა 2,4 ცხ. ძ მუშა მოცულობით. ძარა ზუთადგლიანია, მზიდი კონსტრუქციისა.

გარდა უცხოეთიდან შემოტანილი საბურავებისა და ორბაფიანი ნათურებისა (ფარები-სათვის), ავტომობილის ყველა სხვა დეტალი მზადდება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

კორეა

რადიოგორი... ფიფიკისაგან

სიანგორენის კერამიკულმა ქარხანამ დაიწყო ქვეყანაში პირველი კერამიკული რადიო-


ტორების გამოშვება ოთახების გასათბობად. რადიოტორები უძლებს წყლის წნევას, რომელიც 5-6 კგ-ის ტოლია კვ. სმ-ზე, და 80°C-ზე მაღალ ტემპერატურას. ასეთი რადიოტორების 4 ათასი კომპლექსის წარმოების დროს ქარხანა ზოგავს 1000 ტონაზე მეტ ლითონს.

უნგრეთი

მოღარეზაგული „პანონია“

უნგრელმა ინჟინრებმა მთელი რიგი ცვლილებები შეიტანეს 1958 წლის მოდელის მოტოციკლ „პანონიას“ კონსტრუქციასა და გაფორმებაში. კერძოდ, მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვის უმნიშვნელო გადიდებით (5100 ბრ/წთ.) ძრავას სიმაღლეზე გაზრდილია 14 ცენტის ძალამდე. კუმშვის ხარისხი 7,2:1-ის ტოლია. ნაცვლად აქამდე გამოყენებული კარბურატორისა მიხარხანილი ტიპი-გას კაბერთ, დადგმულია ახალი, მონომოლ-კური ტიპისა ამაღლებული გაზავალი კვეთით (27 მმ-მდე). მქნევარა მანევრის ნაცვლად ახალ „პანონიას“ აქვს 60 ვატი სიმაღლარის მუდმივი დენის დინამო.

1958 წლის მოდელისაგან განსხვავებით „პანონიას“ (1958 წლის მოდელი) აქვს უფრო მოხერხებული და ფართო შეწყვიდელ-უ-



ლი უნაგირი განკალკევებული საჭლომებით. ინსტრუმენტები თავსდება სპეციალურ ყუთში საწვავის აგზის „ჰენიით“.

უცვლელი დარჩა მოტოციკლის ჩარჩო და საბურავების ზომები. თვლების მანვინი რამ-დენადმე გაძლიერებულია, ხოლო უკანა თვლის საკიბრში დაყენებულია უფრო სრულყოფილი ორმაგი მოქმედების მიდრავ-ლიკური ამორტიზატორი.



სამედიკო ნივთიერებების წარმოება

ბ. ჯოჯა

სამედიკო ნივთიერება უნდა ხასიათდებოდეს შემდეგი თვისებებით: ექსპონირებულ ფორმასაღაზე რაც შეიძლება მცირე დროში გამოამჟღავნოს უჩინარი გამოსახულება; გამჟღავნებისას არ წარმოქმნას თვალთშეამჩნევი ვული და გერცხლის ნაწილაკების მსხვილი მარცვლიანობა; პეიზაჟების, პორტრეტებისა და საერთოდ დღის სინათლეზე გადაღების დროს მოგვეცეს დეტალთა დამუშავება როგორც განათებულ, ისე დაჩრდილულ ნაწილებში, ე. ი. ნეგატივი და პოზიტივი თავისი კონტრასტულობით უნდა ხასიათდებოდეს რბილი და ნორმალური გრადაციით, ხოლო ხელნაწერი და ნახევრადი ტექსტების, ნახაზებისა და სხვა შტრიხული ნახატების რეპროდუქციის შემთხვევაში — პივილითი რაც შეიძლება კონტრასტული ნეგატივი და მისი შესაბამისი პოზიტივი. ფოტოგადაღებისას ექსპოზიციის განსაზღვრაში დაშვებული შეცდომა გამჟღავნების პროცესში უნდა გამოასწოროს სამედიკო ნივთიერებამ და მოგვეცეს ნორმალური სიმკვრივის ნეგატივი. როგორც უკმარყოვნებული, ისე გადამეტყოფილი ექსპოზიციის შემთხვევაში, თვით სხნარის ან გარემომცველი პავრის ტემპერატურის ცვალებადობისას (ასპირეფლია 10°-ის ფარგლებში) არ უნდა მოგვეცეს არც გადამეტახეღავნი და არც უკმარანჟღავნი ნეგატივი. სამედიკო ნივთიერება კარგად უნდა იხსნებოდეს უშუალოდ წყალში ან წა-ლში გახსნილ ნატრიუმის სულფიდისა და ტუტეითან ეოთად, სწრაფად არ იფანგებოდეს გარემომცველი პავრისაგან, არ უნდა აზიანებდეს ფოტოემულსიისა და არ იწვევდეს კანის შეღებვასა და დაეადებას.

ფოტოგრაფიაში სამედიკო ნივთიერებად ფართოდ იყენებენ მეტოლსა და ჰიდროქინონს.

მეტოლი თეთრი-მონაცრისფერი, თვალთ ძნელად შესამჩნევი კრისტალების ფენილია, რომელიც ფოტოგრაფიაში 1891 წლიდან იხმარება. იგი წყალში ხსნადი ნივთიერება (მის წყალხსნარში აზოტის მჟავას დამატებით ეღებულობთ წითელ შეფერილობას) და ხასიათდება შემდეგი თვისებებით: არის ენერგიული და სწრაფი სამედიკო ნივთიერება, რომელიც ექსპონირებული ფორმასალის ემულსიაში (როგორც განათებულ, ისე დაჩრდილულ ნაწილებში) თითქმის ებრუნებულად წარმოქმნის ფოტოგამოხსახულებას. გადასაღები საგნის სიკაშკაშეთა ინტერვალები გადასვლითია, ამიტომ მიიღება რბილი და ნორმალური გრადაციის ნეგატივი. ტუტეების დამატების გარეშე იგი იჩენს გამჟღავნების თვისებას და

მცირე ფორმაციის ფოტოფირების (კინოფირი) გამჟღავნებისას იძლევა წვრილმარცვლოვან ნეგატივს, რომლიდანაც შეიძლება გავადიდოთ ფოტოსურათი, ზომით 24×30 სმ-მდე. კალოუმის ბრომიდის დამატებით ან სხნარის ტემპერატურის შემცირებით მეტოლი მედიკო მჟღავნების თვისებას არ კარგავს, მაგრამ მედიკოების დრო შესაბამისად უნდა გადიდდეს. ფოტოგამოხსახულების კონტრასტის გასაღიდებლად მეტოლთან ერთად სხნარს შეიძლება დაემატოთ კონტრასტულად მომუშავე სამედიკო ნივთიერება — ჰიდროქინონი. ამ ნივთიერებათა შეხამებით უკვე შემუშავებულია მედიკოების კარგი თვისებების მეტოლ-ჰიდროქინონის სამედიკოების რეცეპტები.

მაგრამ მეტოლს ახასიათებს უარყოფითი თვისებები: მეტოლის სამედიკო საგნის დეტალუბის გამოსახვისათნ ერთად წარმოქმნის საგანრბი სიმკვრივის ეფუალს, რაც ამიერებს ფოტოსურათის სიმკვრივეს. ეფუალის საწინაღმდეგოდ მეტოლის სამედიკოში უმატებენ კალოუმის ბრომიდს, მაგრამ ეს უკანასკნელი რამდენადმე ამიერებს ფოტოემულსიის შეუკრძნობიერებას, რის გამოც უკმარყოვნებული ექსპოზიციის შემთხვევაში მიიღება ძალზე მცირე სიმკვრივის ნეგატივი. ამიტომ სამედიკო სხნარში კალოუმის ბრომიდს მცირე დოზით უმატებენ. მეტოლის სამედიკო ღებავს ხელნის, ხოლო ზოგჯერ კანს აავადებს გეგმებით. ექსპონირებული ფოტოგამოხსალის მეტოლის სამედიკოში გამჟღავნებისას გამოსახულება თუმცა სწრაფად წარმოქმნება, მაგრამ შემდეგ ნეგატივის სიმკვრივე შედარებით ნელა მატულობს. ამის გამო გამჟღავნების მთლიანი პროცესი მოითხოვს ზუსტად განსაზღვრულ დროს, ე. ი. უკმარყოვნებული ექსპოზიციის შემთხვევაში გამჟღავნება უნდა გახანგრძლივდეს, ხოლო გადამეტყოფილი ექსპოზიციისა კი — შემცირდეს. მაგრამ სხგადასხვა პირობებში გადაღებული მრავალკადრიანი ფოტოფირის გამჟღავნება ერთდროულად ხდება, ამიტომ უკმარყოვნებული ექსპოზიციით გადაღებული კადრების გამჟღავნებით თუ ნორმალური სიმკვრივის ნეგატივი მივიღოთ, გადამეტყოფილ კადრების გამჟღავნებით ისეთ მკვრივ ნეგატივს მივიღებთ, რომ მისგან პოზიტივის დაბეჭდვა არ ხერხდება.

თუ გამჟღავნება ვაწარმოებთ უფრო ნალები დროის განმავლობაში, მაშინ გადამეტყოფილი ექსპოზიციით გადაღებული კადრებისაგან მიიღება ნორმალური სიმკვრივის ნეგატივი, უკმარყოვნებული ექსპოზიციით გადა-



ღებულის კადრებისაგან კი — სრულიად გამჟღავნებულ ნეგატივს, რომლისაგან ხარისხიანი ფოტოსურათის დაბეჭდვა შეუძლებელი იქნება.

ამ უკანასკნელი ნაკლის თვალსაჩინოებისათვის 1-ლ ნახ-ზე მოცემულია მახასიათებელი მრუდი, რომელიც შედგება სამი არესაგან (ა—უქმარყოფნებული ექსპოზიციის არე, ბ—ნორმალური ექსპოზიციის არე და გ—გადამეტყოფნებული ექსპოზიციის არე). მახასიათებელ მრუდზე ნაჩვენებია საკუთარ სიგრძის მონაკვეთები, რომლებიც შეესაბამება უქმარყოფნებული და გადამეტყოფნებული ექსპოზიციების არეებს, იმის მომასწავებელია, რომ ფოტოგადღების დროს ექსპოზიციის განსაზღვრაში დაშვებული შეცდომა მეტოლის წვრილმარცვლოვან სამჟღავნის გამოყენების შემთხვევაში ძნელი გამოსასწორებელია (ნახ. 1).

ჰიდროქინონი ფოტოგრაფიაში 1880 წლიდან გამოიყენება. იგი წარმოადგენს მოყვითალო-თეთრ, ნემსისებრ კრისტალურს, რომლებიც იხსნება ცხელ წყალში ან ნატრიუმის სულფიტთან ცივ წყალში. ჰიდროქინონის ხსნარში აზოტის მქონე დამატებით ვლებულობთ მუქ-წითელ შეფერილობას.

როგორც სამჟღავნი ნივთიერება, იგი შემდეგი ფოტოგრაფიული თვისებებით ხასიათდება: ნელი, მაგრამ ძლიერი სამჟღავნია. გამოსახულების გამოჩენისთანავე მასში სიმკვრივე და კონტრასტი მატულობს. ტუტეების გარეშე ჰიდროქინონი გამჟღავნების თვისებას მოკლებულია, ტუტეების დამატებით კი გამჟღავნების პროცესი ძლიერ ჩქარდება. ნახშირმჟავა ტუტეების (სოდა და პოტაში) დამატებით ჰიდროქინონის სამჟღავნი იძლევა კონტრასტულ გამოსახულებას, მაგრამ მწვავე ტუტეების (მწვავე ნატრიუმი და მწვავე კალიუმი) დამატებით გამოსახულების კონტრასტი კიდევ უფრო სწრაფად მატულობს. გამოსახულების კონტრასტზე გავლენას ახ-

დენს აგრეთვე სამჟღავნის კონცენტრაციაც. მაგალითად ჰიდროქინონის კონცენტრირებულ სამჟღავნო მიღწევა კონტრასტული გამოსახულება, წყალში ირეკრ და მეტად განზავებულში კი — შედარებით ნორმალური და რბილი. ჰიდროქინონის სამჟღავნი იძლევა კონტრასტულ ფოტოგამაჩვენებს, რისც აუცილებელია სარკვეროდუტეიო ფოტოგადღებების დროს (მაგალითად, ხელნაწირი და ნახებდი ტექსტები, გრაფიკული ნახატები და სხვ.), როდესაც თეთრ ფონზე შტრიხების სახით მკვეთრად უნდა ჩანდეს დეტალები.

ჰიდროქინონს უარყოფითი თვისებებიც აქვს. დაბალი ტემპერატურის პირობებში მისი გამჟღავნების ენერგია ძლიერ მცირდება, 13°-ის ქვევით კი იგი სრულებით კარგავს გამჟღავნების თვისებას. მეტოლთან შედარებით ჰიდროქინონის სამჟღავნი მაღალი შუქგრძნობიერების ფოტომასალაზე იძლევა უფრო მეტი სიმკვრივის ეკულს. ეკულის საწინააღმდეგოდ ხსნარში უნდა დავუმატოთ კალიუმი ზრონიტი, მაგრამ ეს უკანასკნელი გამჟღავნების პროცესს ანელებს და ფოტოგემულსიის შუქგრძნობიერებასაც ამცირებს, რისთვისაც იგი უნდა ვიხმაროთ ფრთხილად, ძალზე მცირე დოზით.


თუმცა ჰიდროქინონი შეიძლება გამოვიყენოთ სხვა სამჟღავნი ნივთიერებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ უდიდესი კონტრასტულობის გამო ფოტოსურათზე იკარგება ობიექტის დამახასიათებელი დეტალები, ხოლო პირისახის ნაოჭები და სხვა დეფექტები გაძმირებული იქნება მკვეთრი ჩრდილების სახით. ამიტომ პოზიტივების ბეჭდვისას გამოიყენება პოტაშის ჰიდროქინონის სამჟღავნი და შერბილების მიზნით მის ხსნარს წყალში აზავებენ.

მეტოლთან სხვადასხვა დოზებით შეხამებული ჰიდროქინონი პეიზაჟების, პორტრეტებისა და სარკვეროდუტეიო ფოტოგრაფიაში იძლევა ძლიერ კარგ შედეგებს, რის გამო მეტოლ-ჰიდროქინონის სამჟღავნების ნაირსახეობა ფართოდაა გავრცელებული ფოტოგრაფიის პრაქტიკაში.

თუმცა მეტოლი და ჰიდროქინონი ერთმანეთთან შეხამებით ერთმანეთის უარყოფითი თვისებებს ასწორებენ, მაგრამ ეკულის საწინააღმდეგოდ კალიუმის ბრომიდის გამოყენებით ამ ნივთიერებათა მონაწილეობით შედგენილ სამჟღავნში სანეგატივო ფოტომასალის შუქგრძნობიერება საგრძნობლად კლებულობს. ამიტომაცაა, რომ ფოტოგადღების დროს ექსპოზიციის განსაზღვრაში დაშვებული შეცდომების გამო ხარისხიანი ფოტოსურათის დასაბეჭდად ვარგის ნეგატივებს მნიშვნელოვანწილად ვერ ვღებულობთ.

აღნიშნული მდგომარეობის გამო ქიმიკოსები ხანგრძლივად მუშაობდნენ უფრო დადებითი თვისებების სამჟღავნი ნივთიერების აღმოჩენაზე.

სწორედ ასეთი ახალი სამჟღავნი ნივთიერებაა **ფენილინი**, რომელიც თითქმის იმავე პერიოდში იქნა აღმოჩენილი, როგორც მეტოლი და ჰიდროქინონი, მაგრამ




ნახ. 1. მეტოლის წვრილმარცვლოვანი სამჟღავნის მახასიათებელი მრუდი: ა—უქმარყოფნებული ექსპოზიციის არე, ბ—ნორმალური ექსპოზიციის არე, გ—გადამეტყოფნებული ექსპოზიციის არე



საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია

მისი ფოტოგრაფიული თვისებები ამ ბოლო ხანებში სრულყოფილად შეისწავლა ინგლისურმა ფირმამ „ილ-ფორდმა“.

იგი შედგება 1 წილი ფენილისა და 3 წილი პიროზოლიდონისაგან.



ნახ. 2. ფენილის წვრილმარცვლოვანი სამქლავნის მახასიათებელი: ა—უკმარყოვნებული ექსპოზიციის არე, ბ—ნორმალური ექსპოზიციის არე, გ—გადამეტყვენებული ექსპოზიციის არე

ფენილის წვრილმარცვლოვანი სამქლავნის მახასიათებელი გამოირჩევა სწორხაზოვნობით, რომლის უკმარყოვნებული და გადამეტყვენებული ექსპოზიციების შესაბამისი არეები ძლიერ უმნიშვნელო სიმრუდით განისაზღვრება (ნახ. 2).

ფენილის მახასიათებელი მრუდის მნიშვნელოვნად დიდი ნაწილის სწორხაზოვნობის გამო შესაძლებელია გადავიღოთ ობიექტები, რომელთა სიკაშკაშეთა ინტერვალი 1:2000-მდე აღწევს (რაც შეესაბამება მზის საპირდაპირო, კონტრასტით, გადაღების სიკაშკაშეთა ინტერვალს), და მივიღოთ ნორმალური გრადაციის მქონე ნეგატივი. თუ გადასაღები ობიექტის სიკაშკაშეთა ინტერვალი 1:30 ფარგლებშია, მაშინ ფოტოგადაღების დროს ექსპოზიციის განსაზღვრება შეიძლება დაშვებულ იქნეს 50-60-ჯერადი შეცდომა, მაგრამ ფენილის გამათანაბრებელი გამქლავნების თვისების გამო მივიღებთ ნორმალური სიმკვრივის ნეგატივს, რომლიდანაც ფოტოსურათის დაბეჭდვა ყოველთვის მოსახერხებელი იქნება. ამავდროულად ფენილის სამქლავნი არც ტუტეების შეყვანა საჭირო, ხოლო ელალის საწინააღმდეგოდ და სათანადო კონტრასტის მისაღწევად 1 ლიტრ სამქლავნი კალიუმის ბრომიდი შეიძლება 1 გ-მდე აღწევდეს.

ფენილის მახასიათებელი მრუდის სწორხაზოვნობის გამო გამქლავნების პროცესში ფოტოემულსის შექცევადობიერება დაახლოებით 3-ჯერ დიდდება. ეს საშუალებას იძლევა ფოტოგადაღებისათვის გამოვიყენოთ შედარებით მცირე შუქტარბიძეობის წვრილმარცვლოვანი კინო-ფოტოფირები.

ფოტოგრაფიაში იყენებენ მეტოლის წვრილმარცვლოვანი № 2 ე. წ. სტანდარტულ სამქლავნს. მისი შედგენილობაა: 45°-მდე განელებული ანადილი წყალი, მეტოლი 2 გ, ნატრიუმის სულფიტი უწყლო 125 გ, სოდა უწყლო 5.75 გ, კალიუმის ბრომიდი 2.5 გ. მისი სამუშაო ტემპერატურაა 20° გამქლავნების ხანგრძლიობა—12-15 წუთი. ამ სამქლავნი შეიძლება გაამქლავნოთ ექსპონირებულ ფოტოფირი 5 კოჭის რაოდენობით, რის შემდეგ იგი კარგავს გამქლავნების უნარს. მაგრამ როგორც სამეცნიერო-კვლევითი კინო-ფოტოინსტიტუტისა და კინოსტუდია „მოსფილმის“ ერთობლივი გამოკვლევებით დადასტურდა, მეტოლის სტანდარტული სამქლავნი № 2 ვერ უზრუნველყოფს ისეთი ნორმალური ნეგატივის მიღებას, რომელზეც გადასაღები ობიექტის დეტალების უმრავლესობა აბეჭდვით იქნება როგორც განათებული, ისე დაჩრდილულ ნაწილში. ამიტომაცაა, რომ ამ ბოლო დროს კინოსტუდიების საკუთრივ ლაბორატორიებისათვის რეკომენდებულია D-76 ტიპის მეტოლ-ჰიდროქინონის წვრილმარცვლოვანი სამქლავნი, რომლის რეცეპტია: 1 ლ 45°-მდე განელებული ანადილი წყალი, 1.5 გ მეტოლი, 1 გ ჰიდროქინონი, 100 გ უწყლო ან 200 გ კრისტალური ნატრიუმის სულფიტი, 1.5 გ ბორაქი, 2 გ ბორის მჟავა, 0.15 გ კალიუმის ბრომიდი.

D-76 სამქლავნის სამუშაო ტემპერატურაა 18°, ხოლო გამქლავნების ხანგრძლიობა — 10-14 წუთი. ამ სამქლავნი შეიძლება გაამქლავნოთ 5-6 კოჭი ფოტოფირი.

როგორც აღენიშნეთ, მეტოლთან შედარებით ფენილიანი ბევრჯერ უფრო ეკონომიურია, რადგან 1 ლ სამქლავნს ხსნარში მისი რაოდენობა 0,2-0,25 გ-ს არ აღემატება, ხოლო იგი ღირხანს იმაზე და გამქლავნების აქტიურობის თვისებით ხანგრძლივად ინარჩუნებს. მაგალითად, ფენილის წვრილმარცვლოვანი სამქლავნი 13-მდე კოჭი ფოტოფირი შეიძლება გაამქლავნოთ.

ფენილის წარმოება უკვე ათვისებულია ლენინგრადის კინოსაინჟინრო ინსტიტუტის ქაიშური ლაბორატორიისა და მოსკოვის საღებავების ექსპერიმენტული ქარხნის მიერ. მიღებული ნიმუშების შემოწმებით სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფენილინი თავისი დადებითი ფოტოგრაფიული თვისებების გამო ახლო მომავალში შეცდის მეტოლს. ამიტომაც ინტერესოვალეული არ იქნება მოკლე კომენტარებით ფენილის სამქლავნითა რამდენიმე რეცეპტის გამოქვეყნება.

ფენილინ-ჰიდროქინონის წვრილმარცვლოვანი სანეგატივი სამქლავნის შედგენილობაა: 1 ლ 40°-მდე განელებული ანადილი წყალი, 100 გ უწყლო ან 200 გ კრისტალური ნატრიუმის სულფიტი, 5 გ ჰიდროქინონი, 2 გ ბორაქი, 1 გ ბორის მჟავა, 0,2 გ ფენილინი, 1 გ კალიუმის ბრომიდი.

სამქლავნის დასაშვები სამუშაო ტემპერატურაა 17-დან 22°-მდე, გამქლავნების ხანგრძლიობა — 12-დან 16 წუთამდე, შემდეგი თანმიმდევრობით: 1, 2 და 3 ფოტო-



ფირი 12, 4, 5 და 6 ფოტოფირი 13, 7, 8 და 9 ფოტო-
ფირი 15 და მე-13 ფოტოფირი 16 წუთამდე.

ეს სამქალაქი იძლევა ისეთივე წვრილმარცვლოვან
ნეგატივს, როგორც ზემოგანხილული D-76, იმ განსხვავ-
ებით, რომ ფენილონ-ჰიდროქინონის სამქალაქი დიდხანს
ინარჩუნებს გამქალაქების უნარს და, რაც მთავარია, მახა-
სიათებელი მრუდის სწორხაზოვნობის გამო (ნახ. 2) და-
ახლოებით 3-ჯერ აღიდებს ფოტოგემულის შექცრო-
ბიერებას. ამიტომ მძალი შექცრობიერების (180,
130 და 90 GOCT-ის ერთეულებში) მსხვილმარცვლოვანი
ფოტოფირების ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ საშუ-
ალო (65 და 45 GOCT-ის ერთეულებში) და მძალი შექ-
ცრობიერების (32 და 22 GOCT-ის ერთეულებში) შე-
დარებით წვრილმარცვლოვანი ფოტოფირი. ფენილო-
ნის სამქალაქი სასარგებლოა აგრეთვე იმითაც, რომ იგი
საშუალებას იძლევა უკმარყოვნებული ექსპონირებული
ფოტოფირების გამქალაქებისას მივიღოთ ნორმალური
სიმკერვის ნეგატივები.

ფენილონ-ჰიდროქინონ-გლიცინის განსაკუთრებით
წვრილმარცვლოვანი სამქალაქი (გადამეტყოვნებული
ექსპონირებული ფოტოფირების გასამქალაქებლად) და-
მუშავებულია ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის კინოკამერებში, შეიცავს:
0,5 ლ 40%-მდე განვლებულ ანადლდ წყალს, 45 გ უწყ-
ლო ან 90 გ კრისტალური ნატრიუმის სულფიტს, 1 გ
ჰიდროქინონს, 1 გ კალიუმის მეტაბისულფიტს ან 0,65 გ

ნატრიუმის მეტაბისულფიტს, 1 გ ბორაკს, 1 გ ბორ-
მეყას, 1 გ გლიცინს, 0,1 გ ფენილონს, 0,5 გ კალიუმის
ბრომიდს.

უკმარყოვნებულად ექსპონირებული ფოტოფირე-
ბის გასამქალაქებლად ამავე შედგენილობის სამქალაქი
კალიუმის ან ნატრიუმის მეტაბისულფიტი საჭირო არაა,
ხოლო კალიუმის ბრომიდის მაგიერ გამოყენებული უნდა
იქნეს ბენზოტრიზოლი 0,1 გ-ის რაოდენობით.

ნორმალურად ექსპონირებული ფოტოფირების გა-
სამქალაქებლად აღნიშნული სამქალაქი გამოდგება რო-
გორც 1-ლი, ისე მე-2 ვარიანტით და იგი საუკეთესო ნე-
გატივებს იძლევა.

ფენილონ-ჰიდროქინონ-გლიცინის სამქალაქის საშუ-
შაო ტემპერატურაა 20°, ხოლო გამქალაქების ხანგრძლი-
ობა — 15-დან 20 წუთამდე. ამ სამქალაქში დამუშავე-
ბული ნეგატივი წვრილმარცვლოვანი, გამკერვებულ და
პორტრეტებისათვის საჭირო რბილი გრადაციისაა.

ფოტოქალაქისათვის ფენილონ-ჰიდროქინონის
სამქალაქის რეცეპტია: 1 ლ 40%-მდე განვლებული ანა-
დლდი წყალი, 25 გ უწყლო ან 50 გ კრისტალური ნატრი-
უმის სულფიტი, 6 გ ჰიდროქინონი, 30 გ უწყლო ან 81 გ
კრისტალური სოდა, 0,25 გ ფენილონი, 0,2 გ კალიუმის
ბრომიდი, 0,1 გ ბენზოტრიზოლი.


ამ სამქალაქის საშუალო ტემპერატურა დასაშვებია
17-დან 22°-ის ფარგლებში, გამქალაქების ხანგრძლიობა
— 0,5-დან 1 წუთამდე.

სასწრაფო დახმარების მისაბედი პეგონი КСН-900

კისელების მანქანათმშენებელი ქარხნის (კემეროვოს ოლქი)
ინჟინერმა შეიმუშავეს შსტეში სასწრაფო სამედიცინო დახმარე-
ბისათვის ვაგონის ორიგინალური კონსტრუქცია. მარას საკილაურად
შერეისობულ ფუტეზე იდგება სანიტარიული საკაცები, გამულისა-
თვის კი ორი გადასახსნელი სკამია, ვაგონი მსუქულად მოძრაობს
900 მმ სივრცის რელსის ლინაზე და თავისუფლად თავსდება ტიპურ
ასაწეე ვალში.

გათვალისწინებულია აგრეთვე სპეციალური მაგარსაწოლიანი სა-
კაცების მოწყობა. ისინი წარმოადგენენ ნალოებს, რომლებიც ერთ-
მანეთთან სახსროვნად დაკავშირებული ორი ნახევრისაგან შედგება.
ასეთი საკაცები მეტად მოსახერხებელია მცირე სიმძლავრის სამთო
გამონამუშევრების პირობებში.

აღნიშნული ვაგონების პირველი საძლეი ნიმუშები უკვე მოძ-
რაობს კუზბასის სამ შსტეში.






კლასტმასა იტავს ფოლადს

მთელი მსოფლიოს სწავლულები შეუბოძრად ეძებენ კოროზიისაგან ლითონის დაცვის ახალ საშუალებებს, აქამდე ხომ ლითონის უზარმაზარი რაოდენობა ყოველწლიურად ილუპება განცისხად.

ამჟამად დაამუშავეს ფურცლოვანი ფოლადის წარმოების ტექნოლოგია ვინილის აფსკის დამცავით. ფოლადის ზედაპირი გულდასმით იფინდება, ამოიქმება და შემდეგ იფარება თხელი თერმოსტატური წებოვანი აფსკით, რომლის შემთხვევად ელექტრიკი დაიტანება თხევადი ვინილის აფსკი. 0,2 მ სისქის ფენილი არ იზარება, არ განმრევდება და აქვს მაღალი სიმტკიცე. შეიძლება ვინილის ფენიანი ფოლადის გლანვა, ღუნვა, ტვიფრა და ღრმა ჭიჭი — ამ დროს დამცავი აფსკი მთლიანად ინახება. ფოლადის ფურცლები ვინილის ფენილით უფრო იაფი ჯდება ანალოგიურ დეკორატიულ მასალებთან შედარებით (უფანგავი ფოლადი, ანოდირებული ალუმინი და სხვ.) და, როგორც ჩანს, ფართო გამოყენებას პოვებს სარკინიგზო და წყლის ტრანსპორტზე, აგებომონილების წარმოებაში, მშენებლობაში.

სტადიონი ასახდელი სახურავით

როგორი სტადიონია უკეთესი: ღია თუ დახურული? არ ღირს ამის შესახებ თავის ტეხვა. თანამედროვე ტექნიკა საშუალებას იძლევა აგებულ იქნეს ისეთი სტადიონები, რომლებიც ღია იქნება კარგი ამინდის დროს, ხოლო დახურული — ცუდ ამინდში. ასეთი სტადიონი (საივკი ტერმე) უკვე იგება ქალაქ ბიტსურგში მდინარე ოპიოზე. ესაა



მრავალი ნაგებობა, რომელიც დახურული იქნება 136 მ-ზე მეტი დიამეტრის მქონე გუმბათით. გუმბათის ქვეშ მოთავსდება ჟეზ-


ბურთის მინდორი, სარბენი ბილიები, ტრიბუნები.

გუმბათი, რომელიც დაშლადებულია უფანგვი ფოლადისაგან, შედგება რვა სექტორისაგან. მათგან ორი უძრავია, ხოლო ექვსი გადაადგილდება წრფულ რელსებზე. ნაგებობის მშენებლობა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წელს. აქ მშენებლობა სტადიონის მოდელი გადახსნილი სახით.

ბებრაზე 27-ჰერ სწრაფად

რაკეტის მოდელები, რომლებიც განავითარებს ფანტასტიკურ სიჩქარეს, ისევე როგორც „ნელსელიან“ თვითმფრინავთა მოდელები, აუცილებელია გამოცდის აეროდინამიკური მიღების, მაგრამ საპირუპყრის ხარჯების მშვეობით ნაკადის წარმოქმნელი ძველი ზერხები უფარგისია ამ მიზნისათვის საჭირო პაერის სიჩქარის მისაღებად.

ახალ აეროდინამიკურ მილში, რომელსაც სიეტლში აგებს ცნობილი ამერიკული ფირმა „ბოინგ“, პაერისა და პირის ნაკადები წარმოიქმნება აფეთქების მეშვეობით. მაგრამ არა ჩვეულებრივი დენთან, არამედ ელექტრული აფეთქებით, რომელიც გამოწვეულია 4000 კონდენსატორისაგან შემდგარი გიგანტური ბატარეის განმუშავებით. საცდელი



კამერა 1 მ დიამეტრის მუშა ნაწილით მდებარეობს 18-მეტრიანი მილის ერთ ბოლოზე, ხოლო განმუშავების კამერა, რომელიც გამოყოფილია პლასტმასის საცდელი დიფერანციალური ბოლოზე. მას შემდეგ, რაც მოდელი დადგმულია მუშა ნაწილში, საცდელი კამერაში წარმოიქმნება ვაკუუმი, ხოლო განმუშავებაში ჭირხინავს პაერის 140 ატმ წნეხამდე და ახდენენ განმუშავებას.


ელექტროდების შორის გაირბენ დენი 5 მლნ ამპერის ძალით. პატარა მოცულობაში თავისუფლდება 30 000 000 კტ სიმძლავრე. ტემპერატურა მერს აიწევს 14 000°-მდე, ხოლო წნევა — 2100 ატმ-მდე. გავარანგებულ ირები სპიხს დიაფრაგმა და ვოლტაჟის კონსუმი საშუალოდ მიმწარავეს საც-

